საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 18 თებერვალი. 2020 წ. №29 (8955) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

კარიერა მარგველაშვილმა პრეზიდენტად არ ივარგა და ახლა ოპოზიციონერობასა და „ოცნების“ ღალატში სცდის გაბითურებულ თავს!

პოლიტიკურ პლასტილინს არ ექნება პრობლემა პოლიტიკურ პარტიებთან მიკედლების!

პოლიტიკურ პლასტილინს გიორგი მარგველაშვილს არა მგონია, რაიმე პრობლემა ჰქონდეს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან მიკედლების, — ასე აფასებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას დედაქალაქის მოქმედი მერი კახა კალაძე.

„რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება პოლიტიკაში, მე მივესალმები ამას. თუმცა, კონკრეტულად ამ შემთხვევაში და იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რაც მარგველაშვილის მხრიდან მოვისმინეთ, გეტყოდით ჩემს პოზიციას — პოლიტიკურ პლასტილინს, არა მგონია, რაიმე პრობლემა ჰქონდეს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან მიკედლების, მათ შორის სააკაშვილთანაც. მისი განცხადება მოვისმინეთ და დაველოდოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები“.

სააკაშვილი არის სისტემური დანაშაულის მამამთავარი!

„თუ გიორგი მარგველაშვილს აქვს მოლოდინი, რომ სააკაშვილთან შეიძლება დემოკრატიაზე საუბარი, აქ მთავრდება ჩემი დამოკიდებულება მისი პოლიტიკურ გააქტიურებასა თუ მომავალთან დაკავშირებით, — ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მზად არის, ესაუბროს მიხეილ სააკაშვილს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ხედვა საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ასევე მარგველაშვილის თქმით, ის აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება.

„ყველა მოქალაქეს აქვს უფლებაც და საშუალებაც, რომ ქვეყანაში თავისი პოლიტიკური მოთხოვნილება გამოხატოს. გიორგი მარგველაშვილმა თქვა, რომ მზად არის, მიხეილ სააკაშვილს ესაუბროს, თუ მას დემოკრატიის მიმართულებით თავისი ხედვა აქვს. ეს ჩემთვის წყალგამყოფია. თუ ვინმეს, და მათ შორის გიორგი მარგველაშვილს, აქვს იმის მოლოდინი ან განცდა, რომ სააკაშვილთან შეიძლება დემოკრატიაზე საუბარი, აქ მთავრდება ჩემი დამოკიდებულება მის პოლიტიკურ გააქტიურებასა თუ მომავალთან დაკავშირებით.

სააკაშვილს დემოკრატიაზე როგორ შეიძლება ელაპარაკო?! ეს არის ადამიანი, რომელიც არის სისტემური დანაშაულის მამამთავარი. თუ გიორგი მარგველაშვილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი იყო, აქვს მოლოდინი, რომ სააკაშვილს დემოკრატიაზე ელაპარაკოს, ეს მისი არჩევანია, სადაც მე მის პოლიტიკურ კარიერას ვერ ვხედავ“, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

„პოლიტპატიმარმა“ უგულავამ მილიონების გაფლანგვა და დედაქალაქის დაგვიმახინჯა!

4

გიორგი შენგელაია გარდაიცვალა



82 წლის ასაკში ქართველი კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი შენგელაია გარდაიცვალა.

გიორგი შენგელაია 1937 წლის 11 მაისს დაიბადა. დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1962 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. პირველი ფილმი „ალავერდობა“ (1963) გადაიღო გურამ რჩეულიშვილის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით, 1969 წელს კი მხატვარ ნიკო ფიროსმანის შესახებ ფილმი „ფიროსმანი“.

მას ეკუთვნის ასევე „მაცი ხვიტია“ (1966), მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“, „სიყვარული ყველას უნდა“ და ფილმი „ხარება და გოგია“ (1987). გიორგი შენგელაიამ 2000 წელს გადაიღო ფილმი „სიყვარული ვენახში“, 2005 წელს კი „მიდიოდა მატარებელი“.

როგორ ხდება ახალგორის რუსიფიკაცია

7

შხამები ჩვენს სუფრაზე!

8

ვიცით მაინც, რომ ყოველდღე საწამლავს მივირთმევთ?

რატომ არ ავადდებიან ათონელი ბერები კიბოთი?

9

მოქალაქე ნაცები და ევრონაცები პარლამენტში შეიჭრნენ

საკანონმდებლო ორგანოში გუშინ ვითარება უკიდურესად დაიძაბა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, სადაც გენერალური პროკურორობის კანდიდატს ირაკლი შოთაძეს უნდა მოუსმინონ, ოპოზიცია დარბაზში შეიჭრა.

ოპოზიციის წარმომადგენლები უმრავლესობის წევრებს სპეციალურ ნიღბებს ურიგებენ, რომელზეც ბიძინა ივანიშვილია გამოსახული.

ენმ-ს და ევროპული საქართველოს წევრებმა დარბაზში მყოფ უმრავლესობის წევრებს „პოლიტპატიმრების ფლაერები" დაურიგეს.

ვაკის პარკში რესტორანი „ბუდაპეშტი" აღდგება?

ინვესტორი თბილისის მერიას ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის" აშენების ნაცვლად, რესტორან „ბუდაპეშტის" აღდგენას სთავაზობს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სასტუმრო „ბუდაპეშტის" წარმომადგენელმა გოგა ზაქაიძემ განაცხადა, ისინი მზად არიან, უარი თქვან სასტუმროს მშენებლობაზე, სანაცვლოდ კი ვალდებულებას იღებენ, აღადგინონ 1958 წელს აშენებული რესტორანი „ბუდაპეშტი" ისტორიულად არსებული მოცულობისა და ფასადის შესაბამისად.

მისი თქმით, რესტორან „ბუდაპეშტის" მშენებლობისას არ დაზიანდება არც ერთი ნარგავი და დამატებით გამწვანდება და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია.

„მიუხედავად სასმართლოს დადებითი გადაწყვეტილებისა და ყველანაირი კანონიერი უფლებისა, ჩვენ ვთანხმდებით კომპრომისულ ვარიანტს და მზად ვართ, უარი ვთქვათ ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობაზე.

მოგეხსენებათ, თბილისის მუნიციპალიტეტი იწყებს ვაკის პარკის და ისტორიული კასკადის რეაბილიტაციას. სწორედ ამ მასშტაბური პროექტიდან გამომდინარე, ინვესტორი მზად არის, სასტუმროს მშენებლობის ნაცვლად აღადგინოს ამ ადგილას რესტორან „ბუდაპეშტის" ისტორიული შენობა, რომელიც აშენდა 1958 წელს, ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა პარკის განუყოფელ ნაწილს და იყო პარკის სტუმრების ერთ-ერთი საყვარელი და კოლორიტული ადგილი. ჩვენ მზად ვართ, დავთანხმდეთ მერიის მხრიდან შემოთავაზებულ თავდაპირველ წინადადებას და დავუბრუნოთ რესტორანს მისი პირვანდელი სახე. ისტორიულად არსებული სიმაღლისა და ფასადის შესაბამისად.

კახა კალაძე აცხადებს, რომ ვაკის პარკში რესტორან „ბუდაპეშტის" აღდგენა მიუღებელია!

დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვაკის პარკში ასეთი პროექტების განხორციელება მიუღებელია, — ასე ეხმაურება თბილისის მერი კახა კალაძე ინვესტორის განცხადებას, რომელმაც დედაქალაქის მერიას ვაკის პარკში სასტუმროს ნაცვლად რესტორან „ბუდაპეშტის" აღდგენა შესთავაზა.

როგორც კალაძე აცხადებს, თუ ინვესტორს სურვილი აქვს, მერია მზად არის, მას ადგილმონაცვლეობა კვლავ შესთავაზოს.

„ჩვენი პოზიცია იცით, რომ ვაკის პარკში მიუღებელია ასეთი შენობა-ნაგებობების განთავსება. საუბარი იყო ცხრასართულიან კორპუსზე, რაზეც ჩვენ ვუთხარით არა! ეს ბრიფინგებით საუბარი რა ვიცი, რაღაც სიახლეა მგონი. მას არანაირი პრობლემა არ აქვს ჩვენთან კომუნიკაციის. მზადყოფნას გამოვხატავთ ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით და თუ მას რეალურად სურვილი აქვს, რომ განხორციელდეს ადგილმონაცვლეობა.

თქვენ იცით, რომ ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ვაკის პარკის რეაბილიტაცია-განახლება თავისი კასკადით, შესაბამისად, როდესაც უკვე გვექნება პროექტი და გადავალთ სამშენებლო სამუშაოებზე, მაშინ შესაძლებელია, დავსხდეთ და ვისაუბროთ. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვაკის პარკში ასეთი პროექტების განხორციელება მიუღებელია"!

ბექა ნაცვლიშვილი: ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების საკითხი უნდა მოწესრიგდეს!

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტზე დღეს შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა იწყება, **რომლის საფუძველზეც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოწესრიგდეს ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების, ღამის შრომის ანაზღაურების საკითხი,** — ამის შესახებ დამოუკიდებელმა დეპუტატმა ბექა ნაცვლიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, საკანონმდებლო ცვლილებებით შემოდის დამსაქმებლის მხრიდან სამუშაო დროის აღრიცხვის ვალდებულებაც.

„ასევე ხდება არასრულწლოვანთა შრომის რეგლამენტირება. დღეს გვაქვს რთული ვითარება. ადამიანები, რომლებიც მუშაობენ 18 საათი ერთ ცვლაში, კოდექსით გათვალისწინებულია, რომ მათ შეუძლიათ, მხოლოდ 12 საათი დასვენება ცვლებს შორის, რაც ადამიანის უფლებების დარღვევაა. რაც შეეხება ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას, ჩვენი შეთავაზებით დგინდება ერთნახევარი ოდენობით ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, რაც გულისხმობს, რომ თუ საათობრივი ანაზღაურება ადამიანს აქვს 5 ლარი, როდესაც ის ზეგანაკვეთურად იმუშავებს, მისი საათობრივი ანაზღაურება უნდა მოხდეს 7,5 ლარის ოდენობით, რაც შეეხება ღამის შრომას, თუ ადამიანს, მაგალითად, ხელფასი 5 ლარი აქვს საათობრივი, მაშინ ღამის შრომის შემთხვევაში, მისი ხელფასიც გაიზრდება. ეს იმიტომ უნდა მოხდეს, რომ დასაქმებულებმა იგრძნონ საკუთარი შრომის ფასი", — განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა.

გია ჟორჟოლიანი მმართველ გუნდს ახალ ინიციატივას სთავაზობს

დეპუტატი გია ჟორჟოლიანი მიიჩნევს, რომ „ქართულ ოცნებასა" და ოპოზიციას შორის საარჩევნო სისტემის შესახებ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

ჟორჟოლიანის აზრით, ბოლო პერიოდში როგორც „ქართული ოცნების", ისე „ნაციონალური მოძრაობის" მიერ გადადგმული ნაბიჯები მოლაპარაკებების სტაბილურად წარმართვას ხელს არ უწყობს.

„მოლაპარაკებებში ჩართული არც ერთი მხარისგან არ ვლინდება პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება, რომლის მიზანი კონსენსუსის მიღწევა და ისეთ საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება უნდა იყოს, რომელიც



დააკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს. ბოლო პერიოდში, როგორც „ქართული ოცნების", ისე „ნაციონალური მოძრაობის" მიერ გადადგმული ნაბიჯები ხელს არ უწყობს მოლაპარაკებების სტაბილურად წარმართვას. ამის მიუხედავად, აუცილებელია, ყველაფერი გაკეთდეს, რათა განხორციელდეს ისეთი ცვლილებები, რომელიც საარჩევნო სისტემას გარდაქმნის უფრო მეტი პროპორციულობისკენ და ინკლუზიურობისკენ, რაც დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების წინაპირობა იქნება.

ჩვენ თავიდანვე მხარს ვუჭერდით სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. მიგვაჩნია, რომ „ოცნების" გადადგმულმა ნაბიჯებმა, დაწყებული პროპორციული არჩევნების შესახებ საკონსტიტუციო ინიციატივის წარმოდგენით და შემდეგ მისი ჩაგდებით, ხელი შეუწყო დაძაბულობის ზრდას და არჩევნების ჩატარებისთვის უაღრესად არასასურველი გარემოს ჩამოყალიბებას. „ნაციონალური მოძრაობაც" ხელს უწყობს კიდევ მეტ ესკალაციას. ე.წ. დიალოგის შეწყვეტა კიდევ უფრო მეტ რადიკალიზაციას მოიტანს", — განაცხადა ჟორჟოლიანმა.

მთავრობამ ამერიკულ ლობისტურ კომპანიასთან ხელშეკრულება განაახლა

საქართველოს მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ ლობისტურ კომპანია Strate Various-თან ხელშეკრულება განაახლა. შესაბამისი ინფორმაცია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. გაფორმებულ ხელშეკრულებას მთავრობის სახელით ხელს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ნათია მეზვრიშვილი აწერს.

„დამკვეთი ქირაობს ფირმას, რომელიც დაეხმარება დამკვეთს, აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების, ორმხრივი ვაჭრობის გაფართოებისა და აშშ-დან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ასევე მედიასა და გავლენიან წრეებთან ურთიერთობების, შესაბამისი ღონისძიებებისა და შეხვედრების მხარდაჭერისა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე აშშ-ის ლიდერების ინფორმირების კუთხით", — ვკითხულობთ ხელშეკრულებაში. გაწეული მომსახურების სანაცვლოდ საქართველოს მთავრობა კომპანიას თვეში 10 ათას დოლარს გადაუხდის. ხელშეკრულება ერთი წლით გახანგრძლივდა. ცოტა ხნით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობამ ლობისტურ კომპანია chartwell strategy group-თან ხელშეკრულება 2020 წლის 27 იანვარს განაახლა.

„დარეგისტრირებული პირი საქართველოს მთავრობას უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობებისა საკონსულტაციო მომსახურებით. იმუშავებს აშშ-ისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებისთვის. მხარდაჭერას გაუწევს საქართველოს მთავრობას აშშ-ის ადმინისტრაციასთან და კონგრესთან კავშირების დამყარებასა და მხარდაჭერის მოპოვებაში. ასევე საქართველოს დაეხმარება უსაფრთხოების სფეროში აშშ-ის მხარდაჭერის გაძლიერებაში.

ითანამშრომლებს აშშ-ის ადმინისტრაციის ოფიციალურ პირებთან, საქართველოში აშშ-ის პირდაპირი ინვესტიციების საჭიროების საკითხზე და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. დარეგისტრირებული პირი კომუნიკაციას აწარმოებს აშშ-ისა და გლობალურ მედიასთან აშშ-ისა და საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებზე", — წერია მხარეებს შორის გაფორმებული ლობისტური მომსახურების ხელშეკრულებაში.

ვალერი გელაშვილი კვლავ დეპუტატი გახდება

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ვალერი გელაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობას მხარი დაუჭირა. პროცედურის თანახმად, ამის შემდეგ გელაშვილს კენჭი პარლამენტის სხდომაზე უნდა უყარონ.

მეცხრე მოწვევის პარლამენტში გელაშვილი კარლო კოპალიანს ჩაანაცვლებს, რომელმაც პარლამენტი გასულ სასესიო კვირაში დატოვა.

„ქართული ოცნების" წევრი, დეპუტატი კარლო კოპალიანი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერად აირჩიეს. მის კანდიდატურას მხარი საბჭოს 34-მა წევრმა დაუჭირა.

სასამართლომ „გაბედეს" ხუთი წევრი გააფრთხილა

მოძრაობა „გაბედეს" წევრები საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლში, რაც პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას გულისხმობს სამართალდამრღვევად ცნო და სიტყვიერი გაფრთხილება მისცა. რაც შეეხება 166-ე მუხლს, რაც ხულიგნობას გულისხმობს, ამ ნაწილში სასამართლომ წარმოება შეწყვიტა.

„გაბედეს" ხუთი წევრი რამდენიმე თვის წინათ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან აქციაზე დააკავეს. აქტივისტები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობისთვის ბოქლომის დადებას გეგმავდნენ, ასევე ცდილობდნენ, საავტომობილო გზაზე მოძრაობის შეფერხებას, რასაც პოლიციასთან დაპირისპირება მოჰყვა.

გერმანიაში, ტურისტულ გამოფენაზე, საქართველო „მასპინძელი“ იქნება!

საქართველო 2022 წელს ბერლინში ტურიზმის ინდუსტრიაში ყველაზე დიდი გამოფენა-ბაზრობის, ITB Berlin-ის მასპინძელი ქვეყანა იქნება.

გერმნიაში მსოფლიოში უდიდეს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, ITB Berlin-ი საქართველოს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგენასთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მარიამ ქვრივიშვილმა პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა და გერმანიის ელჩი საქართველოში ჰუბერტ ქნირში დაესწრნენ. მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ტურიზმის სექტორის და დონორი ორგანიზაციების წარმოდგენლები.

ღონისძიებაზე მარიამ ქვრივიშვილმა საზოგადოებას ITB Berlin-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. ITB Berlin-ზე, გერმანიაში, მასპინძელი ქვეყნის სტატუსის მოპოვება საქართველოს 37 მილიონი ევროს ღირებულების მარკეტინგულ მხარდაჭერას და ერთმილიარდიან აუდიტორიაზე წვდომის შესაძლებლობას მისცემს. ITB Berlin-ს ყოველწლიურად 180-ზე მეტი ქვეყნის 200 ათასზე მეტი ვიზიტორი ესწრება. ITB Berlin-ი წლიდან წლამდე მსოფლიო მედიის განსაკუთრებული ყურადღების ეპიცენტრშია. 3 დღის განმავლობაში გამოფენას 5 ათასზე მეტი საერთაშორისო ჟურნალისტი აშუქებს.

ITB Berlin-ის გამოფენაზე მასპინძლის სტატუსით მონაწილეობა არის უპრეცედენტო მასშტაბის შესაძლებლობა ქვეყნისთვის, რაც კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს საქართველოს, როგორც ტურისტულად განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ქვეყანას. მასპინძლის სტატუსი არის სიგნალი მთელი მსოფლიოსთვის, რომ საქართველო 2022 წლამდე და მის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული ქვეყანაა. 2007 წლიდან ბერლინში 15 ქვეყანა მასპინძლის სტატუსით წარდგა, მათ შორისა: ინდოეთი, გერმანია, თურქეთი, პოლონეთი, ინდონეზია, მალაიზია და ა.შ. აღნიშნული ქვეყნები მსოფლიოში ტურისტული ბაზრის უდიდეს წილს ფლობენ.

ახალგაზრდობის სააგენტო მილიონი ლარის საგრანტო კონკურსს აცხადებს

ახალგაზრდობის სააგენტო, რეგიონებში ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებისა და არაფორმალური განათლების განვითარების მიზნით, 1 მლნ ლარის მოცულობის საგრანტო კონკურსს აცხადებს. საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, სააგენტოს „მილიონიანი ფონდი“ საქართველოს ათივე რეგიონზე თანაბრად განაწილდება და საერთო ჯამში, 20-დან 30-მდე ახალგაზრდული ორგანიზაცია, თითოეულ რეგიონში კი, 2-დან 3 ახალგაზრდულ ორგანიზაციამდე დაფინანსდება.

რეგიონული ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის თემატიკა განსაზღვრულია. ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი პლატფორმული პროექტები, რომლებიც არაფორმალური განათლების გზით უზრუნველყოფენ რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის კომპეტენციების ზრდას, მხარდაჭერას გაუწევენ ახალგაზრდულ ინიციატივებს და უზრუნველყოფენ მათ ჩართულობას ადგილობრივ და საზოგადოებრივ ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

„ახალგაზრდული სფეროს რეფორმის ფარგლებში, გუშინ გაიმართა ახალგაზრდობის სააგენტოს „მილიონიანი ფონდის“ პრეზენტაცია. წელს საპილოტე წელია და ჩვენი პრიორიტეტი არის რეგიონები, კონკრეტულად კი, რეგიონალური ახალგაზრდული ორგანიზაციები, შესაბამისად, საგრანტო კონკურსიც ცხადდება რეგიონალური მიმართულებით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ისე რეგიონში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. მათ უნდა შემოიტანონ გრძელვადიანი, მდგრადი შედეგების მომტანი პლატფორმული პროექტები. ერთჯერად და მოკლევადიან პროექტებზე გრანტი წელს არ გაიცემა“, — აღნიშნა ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელმა რევაზ ჩარკვიანმა.

ცხინვალში მილიციამ აფთიაქებს ქართულწარწერიანი მედიკამენტები ჩამოართვეს!

საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები ამბობენ, რომ შემოწმება ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ჩაატარეს.

„ორი აფთიაქის შემოწმებისას წამლები ქართული წარწერებით აღმოჩნდა და მილიციამ აფთიაქებს ჩამოართვა „ვოლტარენი“, „ფლუკოლდი“, „კრესტორი“, „ჰემორალი“, „კოლხური“, „ტოლარინ პუსი“ და სხვა მედიკამენტები“, — ნათქვამია საოკუპაციო რეჟიმის განცხადებაში.

სააგენტო „კომინფი“ წერს, რომ „სააფთიაქო დაწესებულებების შემოწმება მთავრობის დადგენილების შესაბამისად ჩატარდა, რომელიც ქართული წარმოების მედიკამენტების რეალიზაციის ჩახშობას ისახავს მიზნად“.

საქართველო ევროპის ამინდის პროგნოზების ცენტრის წევრი ხდება

ბარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი ინგლისში, ქალაქ რედინგში წამყვანი ქვეყნების და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად, ევროპის ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზების ცენტრის (ECMWF — The European centre of medium-range weather forecasts) მიერ ორგანიზებულ კურსს „მეტეოროლოგიური პროდუქტების გამოყენება და ინტერპრეტირება“ დაესწრო.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში განიხილეს, საქართველოს ევროპის ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზების ცენტრში გაწევრიანების პროცედურები, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, მიიღოს მათი სამეცნიერო ჯგუფის მიერ დამუშავებული სხვადასხვა სინოპტიკური რიცხვითი მოდელი. აღნიშნული თანამშრომლობის საფუძველზე კიდევ უფრო გაიზრდება ამინდის პროგნოზების სიზუსტე ქვეყნის ტერიტორიაზე.

ევროპის ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზების ცენტრი ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა მეტეოროლოგიის დარგში, რომელიც 34 წევრი ქვეყნისთვის ციფრული ამინდის პროგნოზებს აწარმოებს და ავრცელებს.

გადახდის სისტემა, რომელიც „თაღლითობის“ საშუალებას იძლევა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შემოსავლები შეისწავლა და მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინა. აუდიტის დასკვნის მიხედვით, დარღვევებს შორის არის გადახდის სისტემა, რომელიც „თაღლითობის“ საშუალებას იძლევა. უმაღლესი აუდიტორული ორგანო ამბობს, რომ როგორც სატრანსპორტო კომპანიის, ასევე თბილისის მერიის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმების არასათანადოდ ფუნქციონირების გამო, 2017-18 წლებში თბილისის მერიამ მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო რესურსი დაკარგა და არსებული წესების დარღვევით გამოყენებული შეღავათიანი მგზავრობის ღირებულებები აანაზღაურა.

„უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით სხვადასხვა დროს 305-მა მილიონმა პირმა ისარგებლა, რაც გადაყვანილი მგზავრების 61%-ს შეადგენს. 2017-2018 წლებში მგზავრთა გადაყვანით მიღებული 241.8 მლნ ლარის შემოსავლიდან 124.4 მლნ ლარი მიღებულია უშუალო გადახდების შედეგად, ხოლო 117.4 მლნ ლარი წარმოადგენს საშეღავათო თანხას, რომელსაც მერია ანაზღაურებს. საშეღავათო პირობებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა ჩვეულებრივი რეჟიმით ტრანსპორტირებულთა რიცხვს აჭარბებს. შესაბამისად, მგზავრობის ღირებულების გადახდით და კომპენსაციის სახით კომპანიას მიღებული აქვს თითქმის იდენტური შემოსავლები, რაც რისკის შემცველია“, — აცხადებენ აუდიტის სამსახურში.

„მონაცემების შესწავლით გამოვლინდა ბარათები, რომლებიც ძირითადად მეტროს ერთსა და იმავე სადგურის ტურნიკეტებზე დღის განმავლობაში მოკლე შუალედით და მრავალჯერადად გატარდა და მათზე გავრცელდა დაწესებული შეღავათები. მაგალითად, სამგზავრო ბარათის ერთ-ერთმა მფლობელმა 2017 წლის 6 იანვარს ბარათი გამოიყენა 50-ჯერ. აქედან, მეტროსადგურ „სამგორში“ — 28-ჯერ და სხვადასხვა ავტობუსში (გადახდის შუალედებში) — 22-ჯერ. პირმა მგზავრობის ღირებულების სახით 25 ლარის ნაცვლად გადაიხადა სულ 3 ლარი, ხოლო მერიამ დადგენილი წესის შეუსაბამოდ გავრცელებული შეღავათისათვის კომპანიას აუნაზღაურა 22 ლარი“, — განმარტავენ აუდიტის სამსახურში.

ბარათის შეღავათიანი პირობის დარღვევის საილუსტრაციოდ აუდიტის სამსახურმა 6 დღის მონაცემებზე დაკვირვების შედეგები გაასაჯაროვა.

ცხრილიდან ჩანს: **6 დღეში გავრცელებულია 3.4 ათას ლარზე მეტი შეღავათი. მგზავრობის 6 დღის მონაცემების შესამოწმებელ პერიოდზე გავრცელებით, 2017-2018 წლების განმავლობაში არსებული წესის შეუსაბამოდ გადახდილმა მგზავრობის კომპენსაციამ სავარაუდოდ, 414 ათასი ლარი შეადგინა.** გასათვალისწინებელია, რომ დამრღვევი პირები შესაძლებელია, ფლობენ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის საშეღავათო ბარათს და მონაცვლეობით იყენებენ მას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანო აცხადებს, რომ სატრანსპორტო კომპანიის პასუხისმგებელმა პირებმა მოვალეობა სათანადოდ არ შეასრულეს და არ აღკვეთეს მეტროსადგურების ტურნიკეტთან სხვა მგზავრის ნაცვლად ბარათების მრავალჯერადი გატარება. მათი თქმით, მოძრაობის სამსახურის კონტროლიორი, ფაქტობრივად, მუდმივად იმყოფება ტურნიკეტებთან და მას სამსახურებრივად ევალება, გააკონტროლოს მგზავრთა ის კატეგორია, რომლებიც სარგებლობენ შეღავათიანი ტარიფით ან უფასო მგზავრობის უფლებით. კომპანიამ არ დააწესა საკმარისი კონტროლი და სათანადოდ არ გამოიყენა მინიჭებული უფლებამოსილება დარღვევით გამოყენებული მგზავრობის შეღავათიანი გადახდების აღსაკვეთად მეტროთი გადაადგილებისას, სადაც არსებობს შეუსაბამობის მეტი ალბათობა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ გამოვლენილ დარღვევებს დედაქალაქის მთავრობაში, ეთანხმებიან თუ არა აუდიტის სამსახურის დასკვნას, რომ მეტროსადგურებსა და ავტობუსებში მგზავრობის ბარათით გადახდის სისტემა არ არის დაცული.

იხ. 4 გვ.

„პოლიტპატიმარმა“ უგულავამ მილიონებიც გაფლანგა და დედაქალაქიც დაგვიმახინჯა!

სიმართლე გითხრათ, ამ წერილის დაწერას სულაც არ ვაპირებდი, მაგრამ უგულავას დაპატიმრებასთან დაკავშირებით ძაღლთაპირმა ნაცებმა ქვეყნად ისეთი ქარიშხალი და მეხთატეხა დააყენეს, რომ გადამაწყვეტინეს, მათი პოლიტპატიმარი გმირისთვის ორიოდ საქებარი სიტყვა მეც შემეწია. არ ვხუმრობ, ნიკუტა გვარამიას ყოფილმა „რუსთავი-2“-მა და ამჟამინდელმა „მთავარმა არხმა“ ციხეში მიმავალ უგულავას ისეთი გაცილება-სპექტაკლი დაუდგეს, რომ კრწანისის ომგადატანილ გმირსაც შეშურდებოდა. კიდევ კარგი TV „პირველისთვის“ არ მიყურებია, თორემ რა გაუძლებდა ინგა გრიგოლიას ჭარბხმიანობას, რომელიც შექმნილი ავბედობა-უსამართლობის გამო ალბათ, ტელეკამერასთან თმებგაწეწილი იჯდა და ხმამყივარი მოძალადე ხელისუფლებას უტიფარი ეპითეტებით ამკობდა.

პატივცემულო მკითხველო, ამ წერილში არ ვაპირებ კრიმინალ უგულავას მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგული 48 მილიონი ლარის სათუოობაზე საუბარს, რადგან მიმაჩნია, რომ ეს დანაშაული სამართლებრივად დადასტურებულ-დამტკიცებულია და პოლიტიკურ განქიქებას არ ექვემდებარება. აი, ჩვენი სამართალდამცავები კი ნამდვილად იმსახურებენ საყვედურს, რომელთაც ეს საქმე წელეს-წელეს და უგულავასთვის საბოლოო სასჯელის გამოტანა წინასაარჩევნო პერიოდს დაამთხვიეს, რამაც ჩვენს ავსულ ნაცებს და მათ საზღვარგარეთელ სატელიტებს შანსი მისცა, ესპეკულიანტათ და ოპოზიციის მთავარ ლიდერად აღიარებული კრიმინალი ივანიშვილის პირად პოლიტპატიმრად გამოეცხადებინათ. ეს პირველი შემთხვევა რომ იყოს, კიდევ რა უჭირდა. საერთოდ, გაუგებარია, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი უცხოელ პარტნიორთა ასეთი ეჭვნარევი დამოკიდებულება. მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ოპოზიციის ლიდერებმა რაც უნდა დანაშაული ჩაიდინონ, სასამართლომ მათთვის განაჩენის გამოტანა საარჩევნო პერიოდს არ უნდა დაამთხვიოს, თორემ, უეჭველად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების განაწყენება-შეშფოთებას გამოიწვევს(!)

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, თუმცა, ახლა ამას შევეშვები და იმას მივუბრუნდები, თბილისის ყოფილმა თავკაცმა გიგი უგულავამ მილიონებით პარპაშთან ერთად თავი როგორ აიგდო და დედაქალაქიც როგორ დაგვიმახინჯა. თუ ვინმეს არ სჯერა ეს ამბავი, მობრძანდეს სპორტის სასახლის ირგვლივ გაცათამბჯენებულ უბანში (პირადად მე ამ უბანში ვცხოვრობ) და აქაურთა ჭირ-ვარამი საკუთარი თვალით იხილოს. თუმცა, მარტო ეს უბანი ხომ არ არის გაბეტონყრუებული, ქალაქის მაშინდელმა მერმა მთელ თბილისს თავისი მსახვრალი ხელი დაატყო.

ასეთი მაინც რა იგლახავა უგულავამ, რომ დედაქალაქს მოუშუშებელ ჭრილობად დარჩაო, იკითხავთ. ის იგლახავა, რომ იღორმუცელა. უგულავას დაუოკებელ მადას რას გამოაპარებ, ქალაქის მერობის პერიოდში უმალ იყნოსა, რომ თბილისის ამ ცენტრალურ ნაწილში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწა ძვირი ღირს და მთელი ეს მიდამო სამშენებლო პოლიგონად და ფულის საკეთებელ ინდუსტრიად აქცია. რადგან იმ პერიოდში თბილისში სამშენებლო პროექტების შესაბამის გათვლებს არავინ აკეთებდა და არც არავინ კითხულობდა, ინჟინერი იყავი თუ ცეკვის მასწავლებელი, მშენებლობის სადავეები ხელთ იგდეს არაკაცებმა, რომლებიც ჰაიჰარად ჰყიდდნენ სარფიან ადგილებს, სართულიანობას, ბაღებსა და სკვერებს, მზესა და ჰაერს, სინდისსა და ნამუსს... და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — დახვეწილი არქიტექტურული ნაგებობებისა და უბნების ნაცვლად, არქიტექტურული ურჩხულები!

ჰოდა, აბა ეცადეთ და ხალხის კეთილდღეობას გადაყოლილ ამ დონ კიხოტების მიერ აშენებული ქალაქის ცადაწვდენილ ბეტონ-კორპუსებს შორის ერთი გამწვანებული ეზო, ერთი მცირე პარკი, ბავშვებისთვის მარტივი ტიპის ერთი სათამაშო მოედანი მაინც აღმოაჩინეთ. რაც არ არის, რას აღმოაჩენთ. აღარაფერს ვამბობ საბავშვო ბაღებზე (ყველა ისინი კერძო ბინებშია განთავსებული) და სკოლებზე, რომელთა არსებობა აქაურ მშენებლებსა და დამგეგმარებლებს ძილშიც არ დასიზმრებიათ. მათი ეს შეცდომა თუ ფულს გადაყოლილი სიხარბე დღესაც მოუშუშებელ ტკივილად აწევს ამ უბნის (და არა მარტო ამ უბნის) მოსახლეობას.

ზოგმა გულუბრყვილომ შეიძლება იფიქროს, კომუნისტებმა თავის დროზე სპორტის სასახლისა და აკადემქალაქის ტერიტორია იმიტომ დატოვეს „მოშიშვლებული“, რომ მისი ფასი არ იცოდნენო. სწორედაც, რომ იცოდნენ და უფრთხილდებოდნენ, ჯერ ერთი, თავად სასახლის უნიკალურობას, და მეორეც, საბურთალოს უბნის კონდიციურობის არცთუ იოლი პრობლემის გადაჭრას. უგულავას სამშენებლო ხროვამ ორივე ეს მოთხოვნა უგულებელყო. ერთ დროს „ბარაკებად“ ცნობილი ადგილი სტიქიურად და დაუგეგმავად ნაგებმა უზარმაზარმა საცხოვრებელმა კორპუსებმა და ბიზნესცენტრებმა დაიკავეს. თანაც ყოველი ახალი კორპუსი „ბარაკებში“ მცხოვრებთა უმზეობისა და უჰაერობის ხარჯზე აშენდა. ამიტომაც რა გასაკვირია, რომ აქაურ მცხოვრებთ ზემოთ მზის ჭვრეტა გასჭირვებიათ და ქვემოთ — დედამიწისა.

ასე რომ, უგულავას სამართალი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მარტო 48 მილიონი ლარის გაფლანგვას რომ ედავება და ამით კმაყოფილდება, სწორი არ არის. თუ სიმართლე გვინდა, მას მილიონების გაფლანგვასთან ერთად პასუხი უნდა მოეთხოვოს სპორტის სასახლის შემოგარენში (და არა მარტო აქ) მიწების, მზისა და ჰაერის გაფლანგვისთვისაც. თავად უგულავა რამდენიმე წელიწადში სასჯელს მოიხდის და გამოვა, მაგრამ რა ქნას იმ მოსახლეობამ, რომელიც უმზეობისა და უჰაერობის მუდმივ პატიმრობაში დატოვა?!

„ოცნების“ მთავრობის მარიფათს რა ვუთხარი, თორემ, წუპაკი ნაცები პროპორციული არჩევნების ზვარაკად და ივანიშვილის პირად პატიმრად ათგზის დამნაშავე უგულავას გამოცხადებას როგორ უნდა ბედავდნენ. თუ გვინდა, რომ ნაცებმა ამ არჩევნებში გაიმარჯვონ, თბილისის მერყოფილს ზურგზე თავისი ნახელავ-ნამამაძაღლევი ქალაქის სურათი უნდა დავაკრათ და საარჩევნო უბნებში ჩამოვატაროთ. აი, ვნახავთ, ხმების როგორი ნიაღვარი მიაწყდება იმ უბნებს, სადაც ნირწამხდარი უგულავა გამოჩნდება.

მაგრამ ნაცებს არც ეს ფანდი უშველის და არც იმის იმედი, რომ ივანიშვილის ხელისუფლების დასრულებას მისი ძალადობრივი ჩამოგდების გზით მიაღწიონ. ჩვენდა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მათი სამომავლო იმედები მათსავე ხელით ნაგებ უბადრუკ წარსულში დარჩა.

ოთარ ხუციშვილი

გადახდის სისტემა, რომელიც „თაღლითობის“ საშუალებას იძლევა

(მესამე გვერდიდან)

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი შარკოვი ამბობს, რომ საკითხის შეფასება უჭირს, რადგან ეს საკრებულოს მიერაა დადგენილი და სატრანსპორტო კომპანია ასრულებს იმ დადგენილებას, რაც თბილისის მთავრობის მიერაა მიღებული. მისი თქმით, შეღავათიანი ტარიფები მოსახლეობისათვის სოციალური დახმარებაა, რომელსაც თბილისის მერია ანაზღაურებს.

„თითოეული გატარება შეღავათიანი იქნება თუ სხვა, ბანკის მხრიდან წარმოშობს ვალდებულებას, კომპანიას ზუსტად ის თანხა აუნაზღაუროს, რაც არის აღნუსხული. ჩვენ თუ იმაზე ვსაუბრობთ, რომ საშეღავათო ბარათების შემთხვევაში მაგალითად, სტუდენტის ბარათით ისარგებლა სტუდენტის სტატუსის არ მქონე ადამიანმა და ამით ჩვენს კომპანიას მიადგა ზიანი, შეიძლია გითხრათ, რომ კომპანიისთვის თითოეული გატარება არის შემოსავალი 50 თეთრი. საშეღავათო გატარების შემთხვევაში, ამას მერია ასუბსიდირებს. ჩვენთვის არანაირი ზარალის მომტანი ეს პროცედურა არ არის.“, განმარტავს გიორგი შარკოვი.

„პრობლემის მოსაგვარებლად მეტროში გვყავს კონტროლიორი, ავტობუსში კი კონდუქტორი. ეს ადამიანები ცდილობენ, გააკონტროლონ, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ბარათი პიროვნებას, მაგრამ პიკის საათში როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა გააკონტროლოს სწრაფად გამავალი მგზავრების ყველა ბარათი, წარმოუდგენელია ამის მონიტორინგი. გამოდის, რომ თითო მგზავრს თითო კონტროლიორი უნდა დაუყენო, რაც წარმოუდგენელია. მგზავრი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ისედაც მცირე ტარიფის პირობებში მგზავრობის საფასურის გადახდას, უნდა გაითავისოს ის, რომ გამართული ავტობუსით და მეტროთი მგზავრობისთვის თანხა უნდა გადაიხადოს“, — აცხადებს გიორგი შარკოვი.

„ხდება ხოლმე კანონსაწინააღმდეგოდ ბარათების გატეხვა და თანხების ჩარიცხვა, რაზეც სამართალდამცავი ორგანოებისგან შარშანაც იყო რეაგირება. სხვა შემთხვევაში არის 90-წუთიანი საშუალედო პერიოდი, ამ დროში მეტროდან ავტობუსში გადაჯდომა უფასოა. ტექნიკურად ძალიან რთულია იმის მოწესრიგება ბარათი რამდენად ადეკვატურად გატარდა. ვფიქრობთ, რომ საჭიროა დამატებითი კონტროლის მექანიზმების ამოქმედება, თუნდაც, საკანონმდებლო დონეზე შესაბამისი ცვლილებების გატარება, რათა ამ ბარათების ე.წ. არამართლზომიერი გამოყენება აღმოიფხვრას. მხოლოდ ჩვენი კომპანია ამ პრობლემას მარტო ვერ გაუმკლავდება“, — განაცხადა გიორგი შარკოვმა.

ბაჩო ადამია

ყველა ეკლესიას თავის გარშემო 20 ჰექტრამდე ტყის ფლობა შეუძლია!

საქართველოს პარლამენტი განიხილავს ცვლილებებს „ტყის კოდექსში“, რომლის მიხედვითაც, მართლმადიდებელ ეკლესიას შეეძლება, ყველა ეკლესია-მონასტრის გარშემო 20 ჰექტრამდე ტყე იყიდოს და კერძო საკუთრებად დაიკანონოს.

„საქართველოს რეპუბლიკური პარტიის“ ავყია, დაუფიქრებელი განცხადებით, ეს ცვლილება დაუსაბუთებელ უპირატესობას ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

როგორც „რესპუბლიკელები“ აღნიშნავენ, კანონის პროექტის მე-15 მუხლის თანახმად, “საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ტყის ნაწილის საჯარო სამართლის იურიდიულ პირისთვის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის – საკუთრებაში გადაცემა ხდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით“.

თუმცა, პარტიაში აღნიშნავენ, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ არის ასახული ამ ცვლილების მიღების სამართლებრივი საფუძველი და მიზანშეწონილობა:

„ბლანკეტურ ნორმაში მითითებული „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი კი ადგენს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიისთვის უსასყიდლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის შესაძლებლობას. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით, კონსტიტუციით აღიარებულ თანასწორობის უფლებასთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად იქნა აღიარებული მართლმადიდებლური ეკლექსიისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის საკანონმდებლო ჩანაწერი მისთვის სხვა სუბიექტებისაგან განსხვავებული, დაუსაბუთებელი პირობების დადგენის გამო“, – აცხადებენ რესპუბლიკურ პარტიაში.

მათი შეფასებით, კანონის პროექტის ინიციატორი უგულებელყოფს კონსტიტუციურ ჩანაწერს თანასწორი მოპყრობის ვალდებულების თაობაზე და შესაძლებლად მიიჩნევს განსხვავებული მიდგომა დაუშვას სახელმწიფო ტყის ფონდის გასხვისებასთან დაკავშირებით.

„ანტიკონსტიტუციური არაფერია!“

აღნიშნული კანონპროექტის ინიციატორი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროა. სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი „ნეტგაზეთთან“ საუბრისას ამბობს, რომ კანონპროექტში ანტიკონსტიტუციური არაფერი წერია და ის უკვე არსებულ პრაქტიკას აწესრიგებს:

„ტყის კოდექსის მე-15 მუხლში ანტიკონსტიტუციური არაფერი წერია. ვინაიდან, მოქმედ ტყის კოდექსში იყო საქართველოს ეკლესია ჩაწერილი, რომელსაც ე.წ. მიჩენის წესით, უკვე გადაცემული აქვს 1 600 ჰექტარზე მეტი ტყე მართვაში. შესაბამისად, აქ ახალი არაფერი ჩაწერილა. აქ გასწორდა ის, რომ არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარედ, რაც ქონების კანონშია დაკონკრეტებული ცვლილება, რომელიც გაჰყვა ტყის კოდექსს, ვინაიდან ანტიკონსტიტუციურად იცნო უსასყიდლოდ გადაცემა, ჩვენს ჩანაწერში წერია, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, სასყიდიანად გადასცეს.

თუმცა, იმისათვის, რომ სახელმწიფომ ეკლესიას არ გადასცეს უტოპიური და შეუფასებელი ტერიტორიები, განისაზღვრა კონკრეტული გადასაცემი ფართობების მოცულობა. ტყის კოდექსის მე-15 მუხლში წერია, რომ ეკლესიას შეუძლია, ჰქონდეს ტყის ფართობი, ვინაიდან ეს აქამდეც ეწერა მოქმედ კოდექსში. მაგრამ ქონების კანონში ცვლილება, რაც დამტკიცდა გუშინ, წერია, რომ ეკლესიას უფლება ექნება, მთავრობის გადაწყვეტილებით ეკლესია-მონასტრების მიმდებარედ საკუთრებაში გადაეცეს ტყე, არაუმეტეს 20 ჰექტრისა“, – ამბობს ამირგულაშვილი.

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი მიიჩნევს, რომ კანონპროექტი მართლმადიდებელ ეკლესიას უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს იმ მიზეზის გამო, რომ მასში საუბარია მხოლოდ ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყეზე. სხვა რელიგიურ გაერთიანებებს კი, მისი თქმით, ტყეში არც ადრე და არც ახლა, არც ერთი სამლოცველო არა აქვთ!

კარლო ამირგულაშვილის განმარტებით, ამ ცვლილებების შემუშავების საჭიროება საპატრიარქოსთან კონსულტაციების შემდეგ დინახეს. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თქმით, რომ არა ეს ცვლილებები, ეკლესიას მთავრობის დადგენილებით ნებისმიერ ადგილას და მოცულობის ფართობის მიღება შეეძლებოდა:

„საპატრიარქოსთან სამართლებრივი ურთიერთობა ამ წლების განმავლობაში მოქმედი ტყის კოდექსით გვქონდა. საპატრიარქომ დააყენა საკითხი, რომ ეს პროცესი ორ მხარეს შორის უფრო გარკვეული ყოფილიყო. კანონი რომ იწერებოდა, კონსულტაციებში საპატრიარქოც მონაწილეობდა და შევჯერდით. თუ ეს ჩანაწერი არ იქნებოდა, ქონების კანონში კვლავაც იქნებოდა უკვე არსებული ჩანაწერი, რომლითაც საქართველოს მთავრობას ყოველთვის აქვს უფლება, მისცეს ქონება ეკლესიას. შესაბამისად, გამოვიდოდა ისე, რომ საპატრიარქოს გაცილებით მეტი ქონების მოთხოვნის საშუალება ექნებოდა. ჩვენ კონსულტაციების შედეგად შევჯერდით, რა იქნებდა უფრო უკეთესი ეკლესიისთვისაც, ტყისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც“, – ამბობს ამირგულაშვილი.

მისივე თქმით, საბოლოოდ, კონსულტაციებისა და დისკუსიის შედეგად, გადაწყდა, რომ ეკლესიას შეეძლოს 20 ჰექტრამდე ტყის დაკანონება თავისი კომპლექსის მიმდებარედ და არა ყველგან.

„მივესალმებით იმას, რომ ეკლესიას ჰქონდეს ტყე, თუ ის მართავს ისე, როგორც კოდექსი ავალდებულებს. ჩანაწერი ამ კოდექსში არის, რომ ვალდებულებები ყველაზე ვრცელდება. ეს 20 ჰექტარი ჩაიწერა ტყის ინტერესიდან და არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რა მასშტაბები შეიძლება იყოს ისტორიულად უკვე არსებული ეკლესია-მონასტრების გარშემო“.

„კომერსანტი“

საქართველოს სარკინიგზო დერეფანი თურქმენული ნავთობპროდუქტების გადაზიდვისთვისაც კონკურენტუნარიანი გახდა

2020 წლის 11 თებერვალს, სასტუმრო „Tbilisi Marriot“-ში, სს „საქართველოს რკინიგზისა“ და დსს „აზერბაიჯანის რკინიგზების“ ხელმძღვანელებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ რეგიონის ლოგისტიკურ ჯაჭვში ჩართული სახელმწიფო და კერძო კომპანიები – დსს „აზერბაიჯანის კასპიის საზღვაო სანაოსნო“, დსს „ბაქოს საერთაშორისო საზღვაო-სავაჭრო პორტი“, დიუბენდისა და ბათუმის ნავთობტერმინალები.

შეხვედრის ინიცირება საქართველოს რკინიგზის მიერ მოხდა, თურქმენული ნავთობის და ნავთოპროდუქტების საქართველოს დერეფნის გავლით სეზონური ტარიფებით გადაზიდვის განხორციელების მიზნით. მხარეებმა აღნიშნული ტვირთების პერმანენტული გადაზიდვისათვის „ვოლგა დონის“ საზღვაო მარშრუტთან მიმართებაში სეზონური და გამჭოლი ტარიფის შეიმუშავეს, რითაც წლის განმავლობაში „ვოლგა დონის“ მარშრუტთან კონკურენცია შესაძლებელი გახდა.

ინტენსიური განხილვის შედეგად, ინიცირებულ საკითხზე მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და შეხვედრაში მონაწილე ყველა მხარის ჩართულობით კონკურენტული, ერთიანი ტარიფები შეთანხმდა თურქმენული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვისათვის. შეხვედრის ბოლოს ხელი მოეწერა ოქმს და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დაისახა.

ბავშვებმა რომ არ იშიმშილონ...

საქართველოში 152 ათასამდე ბავშვი სახელმწიფოსგან სოციალურ შემწეობას იღებს.

2020 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში საარსებო შემწეობას 431 902 ადამიანი იღებს, რაც მოსახლეობის 11,6 პროცენტს შეადგენს. სტატისტიკურ მონაცემებს სოციალური მომსახურების სააგენტო ავრცელებს.

აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, საარსებო შემწეობის მიმღებთაგან 46 628 პირი 0-დან ექვს წლამდე ასაკის ბავშვია, 105 596 კი – ექვსიდან 18 წლამდე პირი. წინა წლის დეკემბრის მონაცემებით, ქვეყანაში საარსებო შემწეობას 427 373 ადამიანი იღებდა, 2019 წლის იანვარში კი – 442 112.

2019 წლიდან სახელმწიფომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს თითო ბავშვზე დახმარება გაუხუთმაგა და 50 ლარამდე გაუზარდა.

იმისთვის, რომ ოჯახმა ბავშვზე გამოყოფილი თანხები მიზნობრივად განკარგოს, მუნიციპალიტეტების ნაწილში ერთ ბავშვზე განკუთვნილი 50 ლარიდან 30 ლარი სურსათისთვის არის გამოყოფილი, რომლის დახარჯვაც ოჯახს მხოლოდ საკვებ პროდუქტში, ბარათით შეუძლია. 20 ლარს კი, ფულის სახით იღებს. რეგიონების ნაწილში კი, 50 ლარი სრულად ფულის სახით გაიცემა.

ამ ეტაპზე, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, მთავრობა ახორციელებს ბავშვთა ფულადი დანამატების ზეგავლენის შეფასებას და შედეგები წლის ბოლოს გახდება ცნობილი. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება, რა სახით მოხდება 50-ლარიანი დახმარების გაცემა მთელი ქვეყნის მაშტაბით – სრულად ფულადი, კომბინირებული თუ მთლიანად სასურსათო სახით.

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,



– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

ომი, პოლიტიკა, ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები, სიკვდილი

ომი თავგადასავალი არ არის, ომი დაავადებაა, როგორც რომ საოფლე.

* * *

...ომზე გევრად მეტად ხვალინდელი მსოფლიო მაშინებს. სოფლის ნგრევა, დაყოფილი ოჯახები, სიკვდილი, – რა თქმა უნდა, საშინელებაა, მაგრამ არ მინდა, რომ ომმა გაანადგუროს სულიერი ერთობა.

* * *

რისთვის არის საჭირო, რომ ყოველივეს, რაც ძვირფასია ჩემთვის ამ დედამიწაზე, მუდამ რაღაცა ემუქრებოდეს.

ბოლო წერილი
ბორგო,1944 წლის ივლისი.

* * *

საყვარელო დედიკო, როგორ მინდოდა, რომ არ შეწუხებულიყავი ჩემი გულისთვის და ეს წერილი შენამდე მოსულიყო. თავს ძალიან კარგად, ძალიან კარგად ვგრძნობ. იმას ვჯავრობ, რომ აგრერიგად ხანგრძლივ არცვინ არ მინახიხართ. რა ვქნა, თქვენ გამო ძალიან ვწუხვარ, ჩემო მოხუცო დედიკო, რა უბედური დრო დაგვიდგა!

* * *

ჩემთვის გულის შეტევა იყო, დიდიმ თავისი სახლი რომ დაკარგა. ეჰ, დედი, როგორ მინდოდა, რომ რითიმე დავხმარებოდი! მაგრამ მტკიცედ ჰქონდეს ჩემი მომავალი დახმარების იმედი. როცა, ბოლოს და ბოლოს, შესაძლო გახდება იმის თქმა საყვარელ ადამიანთათვის, რომ სუყველა მიყვარს.

დედილავ, ასევე დამიკოცნე, როგორც მე მთელი სულითა და გულით გკოცნი ხოლმე.

ანტუანი.

* * *

დედიკო, ეს-ეს არის წავიკითხე შენი ბოლო წერილი, რა ნაზად დაწერილია. რარიგ მინდოდა შენთან დაბრუნება, გაიგე, რომ დღითიდღე სულ მეტად და მეტად ვსწავლობ თქვენს სიყვარულს. ბოლო ხანს აღარ მომიწერია, მაგრამ, რა ვქნა, მოცალეობა არა მაქვს. ათას საქმეში ვარ ყელამდე ჩაფლული.

* * *

თუ ჩამომაგდებენ, არც არაფერს არ ვინანებ, მომავალი ჭიანჭველის ბუდე შიშსა მგვრის, და სულ უფრო მძულდება ჭიანჭველების რობოტული საქმიანობა! მე იმისთვის ვარ გაჩენილი, რომ მებაღე გამოვსულიყავი...

* * *

საღამო წყნარი და მშვიდია, მე კი დანაღვლიანებული ვარ, არ ვიცი რატომ. ავორაში ჩემი სტაჟი დამქანცველად ჭიანურდება. ძალიან მჭირდება სენ-მორისში დასვენება მკურნალობით, და შენი იქ ყოფნა.

რასა იქმ, დედა? ისევ ხატავ თუ არა?.. მიპასუხე, შენი წერილები ცხოვრებაში მეხმარებიან, მახალისებენ. დედი, სად პოულობ ასეთ მშვენიერ სიტყვებს? მთელი დღე იმ სიტყვების შთაბეჭდილებაში ვარ.

შენ ისევე ძალუმად მჭირდები, როგორც ბავშვობაში... ზემდეგი, სამხედრო წესრიგი, ტაქტიკის გაკვეთილები – რა მომაბეზრებელია! წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ ასწორებ ყვავილთ სასტუმრო ოთახში და კიდევ უფრო მძულან ზემდეგნი.

და ახლა ბევრს ვნანობ, ბავშვობაში რომ აგატირებდი ხოლმე და თავს უბედურად ვგრძნობ. ოღონდ, რომ იცოდე, რა ძალიან მიყვარხარ მუდამ!

ცხოვრებაში შენზე უკეთესი არავინ არა მყავს, პატარა ბიჭუნასავით მენატრება ჩვენი სახლი. მარტო იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ შენ მანდ დადიხარ, ლაპარაკობ, და ხომ შეიძლება რომ ისევ ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ შენს სინაზეს მოკლებული ვარ და ვერც მე გავხდი შენი საყრდენი.

1922 წლის შემოდგომა.

* * *

იძნებ მიდგე-მოდგე, რათა გამანადგურებელთა ესკადრილიაში მომახვედრონ. არ მიყვარს ეს ოხერი ომი, მაგრამ არც ზურგში დარჩენა შემიძლია და არ ავიღე ჩემს თავზე ჩემი წილი რისკი. საჭიროა ბრძოლაში ჩაბმა, მაგრამ ამაზე ლაპარაკის უფლება არა მაქვს, სანამ სრულიად უხიფათოდ დავსეირნობ ტულუზის თავზე ცაში. ეს უღირსი საქმეა. დამიბრუნე განსაცდელთა განცდის უფლება. დიდი სულიერი სისაძაგლეა იმის მტკიცება, რომ ისინი, ვინც „რამე ფასეულობას წარმოადგენენ“, უხიფათო მდგომარეობაში უნდა ვამყოფოთ!

მხოლოდ მოვლენებში ვაუკაცური მონაწილეობით არის შესაძლებელი მოქმედი როლის შესრულება. თუ „რამე ფასეულობის წარმომადგენელნი“ მიწის მარილნი არიან, მაშინ მიწად უნდა იქცნენ. არ შეიძლება „ჩვენ“ თქვა, როცა გვერდზე დგახარ და თუ მაინ.ც შენსას გაიძახი, მაშინ ვიგინდარა ხარ.

ტულუზა, 1939 წლის 26 სექტემბერი.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-27

მიმიფურთხეგია, უკეთუ ომში მომკლავენ ანდა თავს დამატყდება ამ მფრინავ ტორპედოთა მრისხანება, რომელთაც არცრა კავშირი არა აქვთ რა ამუამინდელ ფრენასთან, ისინი ნამდვილი ზორზოხანი არიან, რომელთა ციფერბლატები ჭიკარტებში მავან ბუხჰალტრად გაქცევენ (ფრენაც რომ თავისებური კავშირია), მაგრამ თუ გადავურჩი ამ ბინძურ, ოღონდ უცილობელ სამუშაოს, ჩემ წინ მხოლოდ ერთი საკითხი წამოიჭრება: რის თქმაა შესაძლებელი და რა უნდა ვუთხრა ადამიანთ?

* * *

სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ მესმის, რისთვის გიყვებით ყოველსავე ამას. რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ ვისმე დაველაპარაკო, ისე, კაცმა რომ თქვას, არცა მაქვს ამის თქმის უფლება. საჭიროა გარშემო მყოფთა სიმშვიდის დაცვა, და არა ჩრდილის მიყენება. ჩვენი საბრძოლო თვითმფრინავების საჭევართან ბუხჰალტრობა – აი, ყოვლის უფრორე საუკეთესო რამ, რის უნარიც დღესდღეობით გვაქვს.

* * *

ჩვენს ხანასთან ეს გათიშულობა ყოვლის უფრო მტკენს გულს ამქვეყნად. ძალიან მინდა ყველა ამ ბუტუსურასთან განშორება! რასა ვიქმ აქ, ამ ცთომილზე? ჩემთან არცვის საქმის დაჭერა არ უნდა! რა იღბლიანი დამთხვევაა: არც მე მინდა იმათთან რაიმე საერთოს ქონა! დიდი კმაყოფილებით მოვითხოვდი იმათი თანამედროვის თანამდებობიდან გადაყენებას. იმათ შორის კაციშვილი არ მეგულება, ვინც საგულისყუროს მეტყოდა რასმე. ვეზიზღები? ეს ყოვლის უფრო მქანცავს. ძალიან მინდა მცირე ხანს შესვენება. ნეტავი მებაღე გამხადა, ხილით დახუნძლულ ბაღში სადმე ანდა სულაც გავაცხო სული.

* * *

ჩემთვის სულერთია, მომკლავენ თუ არა ომში. რა გადარჩება იმისგან, რაც მიყვარდა? მხედველობაში მყავან არა მარტო ადამიანები, არამედ ადათ-წესებიც, აღუდგენელი ელფერიც და რაღაც სულის ნათელი და საუზმე ზეთისხილის ქვეშ პროვანსულ ფერმაში და გენდელში. მიმიფურთხეგია იმისთვის, რაც გადარჩება. ჩემთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ გადარჩენილის განლაგების განსაზღვრული წესრიგი. ცივილიზაცია საგანთა შორის კავშირია, რამეთუ ის არა მარტო საგნებზე ვრცელდება, არამედ უხილავ ურთიერთობაზეც, რაც იმ საგანთა შორის არის... მასობრივი წარმოების შედეგად შეგვიძლია რამდენიც გვინდა, იმდენი მუსიკალური საკრავის მიღება, ოღონდ სად ვიპოვოთ მუსიკოსები?

* * *

სხვათა გამო შეშფოთება ყოველთვის თავს მესხმის როგორც რომ მოკრიალებულ ცაზე გავარდნილი მეხი. არც აცივებს, არც აცხელებს, და ეგრევე მეცემა მავანი გვამი, რომელსაც დაუჯერებელი რამ ხიფათი ემუქრება, იმას კი მხოლოდ ოთხი საცოდავი ეკალი აქვს, სხვა არცრა რამ საშუალება არ გამაჩნია ამ სამყაროსგან თავის დასაცავად. არადა, ხომ არ შემიძლია ერთდროულად დახმარების სუყოველ დაძახილზე გადავეშვა მდინარეში! მით უმეტეს, რომ ცურვა არ ვიცი. ოღონდ ციხე, ალბათ, მონასტერივით არის. მე, ღმერთმანი, მაშინ ვარ მშვიდად, როცა ყველაზე უარესად ვარ.

* * *

უკეთუ მხედველობაში საჭირბოროტო რამ ამბავი გაქვთ, კიდევ უფრო ნაკლები მესმის თქვენი. ყოველივე ეს მშვენიერ დაბნეულობაზე მეტია, რაც რომ ზეგ იქნება საჭირბოროტო, ისიც საშინლად სასწრაფო გამოდგება. არადა, 1957 წლის მარტის ბოლოს რომ მოხდება! 1957 წლის ადამიანებისთვის ის მოვლენები უსაზღვროდ საჭირბოროტონი იქნებიან! რაც რომ 1942 წელს საჭირბოროტოდ საზრუნავი იყო, ადამიანთა შეგნებიდან განიდევნებიან, ალბათ, უსამართლოდ, ოღონდ შეუბრალებლად 1957 წლის მოვლენებით! რა უფლებით უნდა დავამჯობინოთ ერთი რამ მეორეს? სიკვდილის წინ ფხიზლად შევაჯამებ რაც რამ თავს გადამხდენია და არც იმ დროს უპირატესობას არ მივცემ. სხვათა შორის, ერთი რამ უცილობელი მტკიცება მაქვს: არცერთხელ არცრა საბაბის გამო არა მინანია რა, რომ ჩემი ესა თუ ის წიგნი არ გამოქვეყნებულა ერთი კვირით, თვეობით, წლობით, ექვსი თვით ადრე... მნიშვნელოვანია, რაც დღეს არის, ერთ კვირაში მნიშვნელოვანი იქნება სავსებით სხვა, ახალი.

* * *

ჩემი ყოვლის უფრო მთავარი აზრი, რაც ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია მჭერმეტყველებაში სუყოველ შეჯიბრებაზე, ის არის, რომ ხალხი არც დეპუტატთა ფრანგული პალიტრაა, არც ამერიკული სენატი, არც ფაშისტური საბჭო. ხალხი იმით ფასდება, რაც რომ მასში ღირებულია. ხალხი ტრეფუელია, ხალხი პასკალია, ხალხი დავიდ ვეილია, ავადმყოფი ბალღის ლოგინთან მდუმარე დედაა, აჯანყებულ მუშათა ურთიერთშველა და თვითგანწირვაა, ხალხი სიკეთეა, გონების საბაბით რასმე რომ არ ექვემდებარება, პირიქით, თვითონ იქვემდებარებს გონების საბაბებს და განიცდის სუყოველ პოლიტიკურ გადაადგილებას, როგორაც რომ ძალუმი რამ მუხა, ფესვმაგარი, ლაპრი, განიცდის წელიწადის დროთა ცვლას.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

დღესაც ფხიზლად აყურადებს ცხოვრების მაჯისცემას

თეიმურაზ ონიანი — 80

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო, ეკზიუპერმა.

ერთად მოვდივართ იმ ლამაზი ბავშვობიდან. გზად თანდათან შემოგვაკლდნენ ძმადნაფიცები. ოთხნიღა შემოვრჩით წუთისოფელს იმ დიდი ჯგუფიდან.

შენ იმ დროიდან ჩვენი საძმოს თვალი ხარ თეიმურაზ, თემურ, თემო!

თუმცა რაღა თემო, 80 წლისა მოყრილხარ, ჩვენო საყვარელო ძმაო.

ონიანთა გვარი დიდი და სახელოვანია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით სვანეთში. მათი ბუდე ლაშხეთშია, ლენტეხის რაიონში. ოდითგან სახელოვანი მეომრები და მონადირენი, დღეს ცხოვრების ყოველ სფეროში წარმატებით მოღვაწეობენ, გულმართლად დგანან მშობელი ხალხის სამსახურში. მათ შორის არის 80 წლის თეიმურაზ ონიანიც.

სახარე ხბოს სასკორავში შეეტყობაო.

მაშინვე გეტყობოდა, რა საჯიშე ხარიც დადგებოდი, შეუპოვარი, დინჯი, ბეჯითი, აწონილი სიტყვით მოუბარი, მოყვასი, გულშემატკივარი... ამიტომ გდებდა იმედებს ჩვენი, 62-ე სკოლა.

ყველა სიკეთე, რაც ბუნებით მოსდგამს ადამიანს, ოჯახის ნაამაგარია. მამა — ბატონი გრიგოლ ონიანი, ცნობილი პედაგოგი იყო, იმავე 62-ე სკოლის დირექტორი, მოსწავლეთა საყვარელი მოძღვარი, რომელმაც იმდროინდელი (50-70 წლების) საბურთალოს ბევრი ავარდნილი ყმაწვილი დააყენა ჭეშმარიტების გზაზე; დედა თამარ გელოვანი — გამორჩეული, დიდბუნებოვანი ქალბატონი და მოამაგე; ძმა თენგიზი, ღმერთმა აცხონოს — ყველა ჯურის საზოგადოებაში გაშინაურებული კაცი, ვაჟის უდროოდ, ტრაგიკულად დაღუპვამაც რომ ვერ გატეხა და ვერ დააგლახა...

არა მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე, არამედ მთელ უნივერსიტეტში გამორჩეული იყავი სწავლით, აზროვნების სიღრმით, ფიცვერცხლნაჭამობის ერთგულებით.

წარჩინებული სტუდენტი დიდებული პროფესიონალი დადექი. საქართველოს პროკურატურის სისტემაში კარიერული გზა აღმავლობით განვლე: გამომძიებელი, ხაშურის რაიონის პროკურორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი, თბილისის პროკურორის მოადგილე... სამართლიანი, პრინციპული, შეუვალი და გულმოწყალე, იმავდროულად, ხელქვეითებსაც ასე წვრთნიდით — იყავით ობიექტურები და კანონის აღსრულებისას ღირსებას ნუ შეულახავთ ადამიანებსო. საზოგადოებაც ასე გიცნობდა პროკურორ თეიმურაზ ონიანს — მკაცრ სასჯელს მოითხოვდი, მაგრამ კაცს დაარწმუნებდი, რომ ის ნამდვილად იმსახურებდა ამას.

ბევრს არ მოსწონდა შენი ასეთი პოზიცია, რამდენჯერ გთხოვეს, „გირჩიეს“ სინდისთან გარიგებაზე წასვლა, მაგრამ ცდუნების შესაძლებლობაც კი არ დაგიშვია. და ისევ მამის დანატოვარ ბინაში ცხოვრობ, შენს მშვენიერ ოჯახთან ერთად; სახელის გარდა სხვა სიმდიდრე არ გიძებნია.

„დრო შეიცვალა, დროსთან ერთად — ადამიანიც. თქმაც არ უნდა, მაშინ კაცი დაფასებული იყო: ღირსეულად გაიცილებდნენ ხოლმე, დრო რომ დაუდგებოდა. არც მერე ივიწყებდნენ, მისი გამოცდილებით სარგებლობდნენ, ჭკუას ეკითხებოდნენ და სიბერე არ იყო მარტოობა, მარტოსულობა და უსიხარულობა. ადამიანი რთული, ფაქიზი არსებაა. მას მოფრთხილება სჭირდება. აი, ეს დაავიწყდათ დღეს. ჰოდა, პიროვნებების ნაცვლად ხელში აბსურდული პოლიტიკური ლოზუნგები შემოგვრჩა. ისიც ძალიან არ მომწონს, პროკურატურის როლი და ავტორიტეტი რომ დაკნინდა საზოგადოებაში. კანონი უნდა კანონობდეს, ამას კი პროკურატურა უნდა ხელმძღვანელობდეს“, — სინანულით ამბობს თეიმურაზი, რომელიც ახლაც ფხიზლად აყურადებს დღევანდელობის მაჯისცემას...

ასეთია ღირსების ორდენოსანი პროკურორის თეიმურაზ ონიანის ცხოვრების კრედო. ასე იცხოვრა და ასე ცხოვრობს. კვლავაც მწყობრშია, საქართველოს პროკურატურის სისტემაში 40 წელიწადი (1964-2005 წ.წ.) უმწიკვლო სამსახურის შემდეგ ჩვეული გულმოდგინებით ეწეოდა ნაყოფიერ საადვოკატო და პედაგოგიურ საქმიანობას, ამჯერად, 2018 წლიდან, საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს.

შენნაირი ვაჟკაცებისთვის 80 წელი ცხოვრების გარკვეული ეტაპის დასრულებაა მხოლოდ. წინ კიდევ დიდი, საინტერესო გზაა. მრავალჟამიერ, თემურ ბატონო!

გივი მაზიაშვილი,
ომარ გოგიაშვილი,
ალეკო ასლანიშვილი

ღმერთმა გვიმრავლოს თქვენნაირი ერთგული შვილები!

ღირსეული მამულიშვილი, იურისპრუდენციისა და პროკურატურის სფეროში კარგად ცნობილი პროკურორი, უმაღლესი კვალიფიკაციით, სამაგალითო პროფესიონალიზმით, სამართლიანობითა და ობიექტურობით გამორჩეული პიროვნება, რომელსაც მთელ ჩვენს ქვეყანაში იცნობენ იმ ღვაწლით, რასაც 40 წლის მანძილზე ეწეოდა ბატონი თეიმურაზ ონიანი, დღეს 80 წლის იუბილეს აღნიშნავს!

საქართველოს პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, რომელმაც თანამშრომლებსა და ასეულობით პენსიონერს შორის უმოკლეს დროში მოიპოვა ნდობა და პატივისცემა, ორგანიზაციის გამგეობა მთელი სულითა და გულით ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

წელთა სიმრავლის მიუხედავად, კვლავაც ახალგაზრდული შემართებითა და გონიერებით მიუყვება იგი წუთისოფლის გზას და კვლავაც ცდილობს, თავის ქვეყანასა და პენსიონერებს პირნათლად ემსახუროს!

თქვენი მიზან-ამოცანები, რაც ოჯახისა და პენსიონერთა კავშირის თავკაცს გაგაჩნიათ, უფლისგან იყოს დალოცვილი. ამრავლოს ღმერთმა ჩვენს მამულში თქვენი სადარი ერთგული შვილები.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისგან“:

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად უერთდება მილოცვებს ბატონი თეიმურაზ ონიანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით და დიდხანს სიცოცხლეს, ყოველივე საუკეთესოს უსურვებს რედაქციის ერთგულ მეგობარს და მუდამ სასურველ ავტორს.

SOS! ილაპარაკე შენ მაინც ქართულად!...

როგორ ხდება ახალგორის რუსიფიკაცია

„დაწყებულია ახალგორის რუსიფიკაციის პროცესი — სკოლებში ბავშვებს, პედაგოგებსა და ტექნიკურ პერსონალს ერთმანეთთან ქართულად საუბარს უკრძალავენ“, — ეუბნება რადიო თავისუფლებას ყოფილი სახალხო დამცველი, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი.

14 თებერვალს ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა სპეციალური განცხადება ახალგორში შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ.

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოკუპირებულ ახალგორის რაიონში, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასთან ერთად, მწვავედ დგას მშობლიურ ენაზე სწავლის უფლების საკითხი: **„უკანასკნელ პერიოდში ახალგორში ორი ქართული სკოლის დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ახალგორის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ნინო ამირანაშვილი, და სოფელ იკოთის საშუალო სკოლის დირექტორი მზია ფსუტური“.**

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ ინფორმაციით, ახალგორის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა გათავისუფლებამდე შენიშვნა მიიღო დაწყებით კლასებში ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამო. დირექტორი გააფრთხილეს, რომ ბავშვებმა შესვენებაზეც კი არ უნდა ისაუბრონ ქართულად იმ ბავშვებთან, რომელთა კლასებიც ჯერ ისევ ქართულ ენაზე სწავლობენ. კითხვებს ბადებს ამავე ხანებში მეორე ქართული სკოლის დირექტორის მზია ფსუტურის გათავისუფლებაც, თუმცა, საოკუპაციო ძალები ნინო ამირანაშვილის გათავისუფლებას წეროვნიდან გადასული მოსწავლეების საჭირო საბუთების გარეშე გაფორმებას, ხოლო მზია ფსუტურის შემთხვევაში პედაგოგიური განათლების უქონლობას უკავშირებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებით, ახალგორის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის აკრძალვა საგანგაშო სახეს იძენს.

უჩა ნანუაშვილის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ცხინვალიდან ახალგორში ჩასულმა ე.წ. საგანმანათლებლო კომისიამ გაფრთხილება მისცა თითქმის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას. ქართულ ენაზე საუბარი აუკრძალეს მასწავლებლებს და მომსახურე პერსონალს არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ ერთმანეთთანაც. ეს პროცესი ახალგორში რამდენიმე წლის წინ დაიწყო და სკოლები ეტაპობრივად გადადიოდნენ რუსულენოვან სწავლებაზე. სულ უფრო მცირდებოდა ქართულის გაკვეთილები და სხვადასხვა საგნის გაკვეთილების ჩატარებაც რუსულ ენაზე დაიწყეს. დაბაში სულ უფრო ცოტა ადამიანი რჩება, თითქმის დაცარიელებულ ახალგორში კი პედაგოგების დევნა დაიწყო.

10 თებერვალს რადიო თავისუფლება უკვე წერდა ახალგორელი დირექტორების გათავისუფლების შესახებ. პირველი სკოლის დირექტორი ნინო ამირანაშვილი გათავისუფლების იმ მიზეზზე ლაპარაკობს, ადგილობრივი განათლების განყოფილებიდან რომ აცნობეს. საქმე ისაა, რომ ამირანაშვილმა გასული წლის სექტემბრის დასაწყისში მეათე კლასში წეროვნიდან გადასული მოსწავლეები მიიღო, თუმცა ბავშვების მშობლებმა გზის ჩაკეტვის გამო მე-9 კლასის ატესტატის ჩატანა ვერ მოახერხეს, სხვა საბუთები კი წესრიგში ჰქონდათ. ამირანაშვილს ეს ბავშვები სკოლიდან არ გაუშვია, რაც თანამდებობის ფასად დაუჯდა.

ახალგორის რაიონში 10 სკოლიდან 6 ქართულია, თუმცა ამ სკოლებშიც, სადა, დაახლოებით, 200-მდე ბავშვი სწავლობს, უკვე იკრძალება ქართულ ენაზე სწავლება.

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ აცხადებს, რომ **„განათლების უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებაა. ის განმტკიცებულია როგორც გაეროს, ასევე ევროსაბჭოს შესასრულებლად სავალდებულო ხელშეკრულებებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აკონკრეტებს, რომელ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს სწავლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განათლების უფლებას აზრი დაეკარგებოდა, მისით მოსარგებლეებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება რომ არ ჰქონდეთ“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებულ მიწა-წყალზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დარღვევის შესახებ საკითხი უნდა დააყენოს ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე და უზრუნველყოს მისი განხილვა როგორც ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში, ისე „ინციდენტების პრევენციისა და მათზე შეხმიანების მექანიზმის“ ფარგლებში; ამასთან, გამოიყენოს სამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა.

საქართველოს ხელისუფლება როგორც ახალგორის, ისე გალის რაიონებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების ხელყოფის საკითხს ჟენევის დისკუსიებზე აყენებს, თუმცა, უშედეგოდ.

გიორგი აფციაური

განგაში!

შხამები ჩვენს სუფრაზე!

ვიცით მაინც, რომ ყოველდღე საწამლავს მივირთმევთ?

გვესაუბრება საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეტაფიზიკურ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის დირექტორი, საქართველოში ინტეგრალური და ინფორმაციული მედიცინის ცენტრის დამაარსებელი, პროფესორი ზურაბ ქუმსიაშვილი.

იმას, რასაც ჩვენ ხშირად საკვებს ვეძახით, არავითარი კავშირი ბუნებასთან არ გააჩნია. სწორედ ასეთი საკვებით იკვებება დღეს უმრავლესობა. შედეგიც აშკარაა. ბევრი ადამიანი იღუპება იმ დაავადებებით, რომელთა თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია. უბრალოდ, ყოველდღიურად ვიწამლავთ თავს კვების პროდუქტებით. ადამიანი ყოველწლიურად საკვებთან ერთად იღებს 3 კილოგრამ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას — პესტიციდებს, საღებავებს, ემულგატორებს, კონსერვანტებს, გემოს და სუნის გამაძლიერებლებს. მაგალითად, ვაშლს კანადაში სეზონის განმავლობაში 70-ჯერ წამლავენ სხვადასხვა ქიმიკატებით. ამის შედეგი კი ის არის, რომ არც ერთ ჭიას არ შეუძლია მისი ჭამა, ჩვენ კი ვჭამთ.

მხოლოდ ბრიტანეთში ყოველწლიურად დაახლოებით 40 ათასი ადამიანი კვდება ფასტ-ფუდის და სხვა მაწყინარი საკვების მოხმარების შედეგად. როგორც აღნიშნავს დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის და სამედიცინო დახმარების ხარისხის ნაციონალური ინსტიტუტი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები წარმოადგენს სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს. ყოველწლიურად ამ დაავადებებისგან დაახლოებით 150 ათასი ბრიტანელი იღუპება. ექსპერტები თვლიან, რომ აქედან 40 ათასი სიკვდილის აცილება შესაძლებელია საკვების ხარისხის გაუმჯობესებით.

რძისა და რძის პროდუქტების თითქმის 80 პროცენტი შეიცავს ბუნებრივი კარაქის იაფ შემცვლელს — პალმის ზეთს, რასაც დიდი მოგება მოაქვს მწარმოებლებისთვის. იგი არ იშლება ჩვენს ორგანიზმში და მოსახლეობის ჯანმრთელობის მორიგ გამანადგურებელს წარმოადგენს.

სტეროიდულ ჰორმონებს ფართოდ იყენებენ საქონლის კუნთოვანი მასის გასადიდებლად და, შესაბამისად, ხორცი იაფი ჯდება. სტეროიდული ჰორმონებია ყველაზე საშიში ჯანმრთელობისთვის, რადგან ისინი ცხოველთა ორგანიზმში არ იშლება და უძლებს დუღილს და ხანგრძლივ შენახვას. ჰორმონები გროვდება ორგანიზმში და შემდგომში არღვევს ნივთიერებათა ცვლას. მამალი ორი-სამი კვირა რომ ვკვებოთ მარცვლით, რომელსაც დამატებული აქვს ქალის სასქესო ჰორმონები, ქათმად გადაიქცევა. მართალია, კვერცხს ვერ დადებს, მაგრამ ბიბილო დაუმოკლდება და ბუმბული გაუხუნდება. ხორცთან და რძესთან ერთად ადამიანები იღებენ ჭარბ ჰორმონებს, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს ონკოლოგიურ დაავადებათა ზრდა, სექსუალური ფუნქციების დასუსტება, ქალთა უნაყოფობა და მამაკაცთა ფემინიზაცია.

დღემდე ღიად რჩება საკითხი, თუ რამდენად საშიშია გენეტიკურად მოდიფიცირებული (გმ) პროდუქტები. ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ **გმ** პროდუქტები იწვევს უჯრედების პოტენციურ სიმსივნურ ზრდას, ტვინის, ღვიძლის მოცულობის შემცირებას, მამაკაცთა სასქესო ჯირკვლების ნაწილობრივ ატროფიას, იმუნიტეტის დასუსტებას, ცრუ ორსულობას და სხვა ანომალიებს, შესაბამისად, სიკვდილიანობის ზრდას. მიუხედავად ამისა, ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის მესვეურები ჯიუტად აცხადებენ, რომ **გმ** პროდუქტები უარყოფითად არ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევები ადასტურებს, ეს მცდარი შეხედულებაა. მას შემდეგ, რაც **გმ** სოია შეიტანეს დიდ ბრიტანეთში, მის მიმართ ალერგიის შემთხვევების რაოდენობა 50 პროცენტით გაიზარდა. მოიმატა დაავადებათა საერთო რაოდენობამაც. აშშ-ში ჩატარებული კვლევების თანახმად, **გმ** პროდუქტების ფართოდ გამოყენება მასობრივ დაავადებათა მიზეზი გახდა.

მხოლოდ **გმ** სოიისგან მთელ მსოფლიოში აწარმოებენ 400-ზე მეტ კვების პროდუქტს. გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს (**გმო**) ინგრედიენტებად იყენებენ მაიონეზების, ლუდის, სოუსების, კეტჩუპების, იოგურტების, სწრაფად მოსამზადებელი სუპების, კამფეტების, შოკოლადის, სასმელების და სხვა პროდუქტების წარმოებაში. ასევე ფართოდ იყენებენ ტრანსგენური სიმინდის, ლობიოს, პამიდვრის, კარტოფილის, ვაშლის, ბანანისა და სხვა ხილ-ბოსტნეულის ნაწარმებს. **გმო**-ს პირველი მსხვერპლები აღმოჩნდნენ ტარაკნები. ისინი ახლოსაც არ ეკარებიან ასეთ საკვებს, რაც გარკვეულ ინდიკატორად შეიძლება გამოდგეს. ასევე არ ჭამენ თაგვები გენეტიკურად შეცვლილ პროდუქტებს.

ენერგეტიკული სასმელი „რედ ბული“ კოფეინთან, ტაურინთან და ვიტამინურ კომპონენტებთან ერთად შეიცავს გლუკურონლაქტონს, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოყენებული იყო ვიეტნამში განლაგებული ჯარის მორალური და საბრძოლო სულისკვეთების სტიმულაციისთვის, რადგან იგი მოქმედებდა როგორც ჰალუცინოგენი და დამამშვიდებელი სტრესულ პირობებში. თუმცა, მისი ეფექტი ორგანიზმისთვის იმდენად დამანგრეველი აღმოჩნდა, რომ ამ ნივთიერების გამოყენება აკრძალეს, რადგან ჯარისკაცებში, რომლებიც მას იყენებდნენ, გაიზარდა თავის ტკივილის, თავის ტვინის და ღვიძლის კიბოს შემთხვევები. ენერგეტიკული სასმელი ასევე შეიცავს სისხლის გამათხელებელ კომპონენტებს. სასმელის მავნეობა ბევრად იზრდება ალკოჰოლთან ერთად მიღებით. რიგ ქვეყნებში აკრძალულია ადამიანის ნერვულ სისტემაზე მასში შემავალი ტაურინის მოქმედების გამო. თუმცა ფრანგი ექიმები იძულებულნი გახდნენ, დაეკანონებინათ ავსტრიაში წარმოებული საქონლის გაყიდვა, რადგანაც, ევროკავშირის წესების თანახმად, არ შეიძლება ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული საქონლის აკრძალვა, თუ ჯანმრთელობაზე მისი მავნეობა არ იქნა დამტკიცებული. თუმცა, საფრანგეთში მოსახლეობას აფრთხილებენ, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანს, განსაკუთრებით, ფეხმძიმე ქალებს და ბავშვებს, ამ სასმელის უზომოდ გამოყენებამ.

რისკების შეფასების ინსტიტუტში (გერმანია) შეადგინეს მაღალი რისკის კვების პროდუქტთა სია, სადაც მოხვდა ღვიძლი, ვირთევზა, გველთევზა, არაქისი, რძის პროდუქტები. პირველი ადგილი უჭირავს ჩიფსებს და გაზიან წყლებს. ჩიფსები შეიცავს მრავალ კანცეროგენს. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურად რამდენიმე ქილა გაზიანი სასმელის მიღება მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. იგი იწვევს ძვლების დაშლას, თავის ტვინის პათოლოგიურ ცვლილებებს. ასეთივე ცვლილებას იწვევს ტკბილი სასმელების სისტემატური მიღება. მნიშვნელოვნად იზრდება სიმსუქნისა და დიაბეტის რისკიც. მათი უმრავლესობა შეიცავს ასპარტამს, შაქრის ხელოვნურ შემცვლელს. მისი დიდი რაოდენობით მოხმარება იწვევს მანიაკური დეპრესიის, პანიკის, სიბრაზისა და ძალადობის განვითარებას.

მეორე ადგილზეა „ფასტ-ფუდი“, განსაკუთრებით, თუ კარტოფილის შესაწვავად იყენებენ ნახმარ ზეთს, რომელიც მდიდარია კანცეროგენებით.

მესამეა ძეხვები, დაშაშხული პროდუქტები, რომლებიც შეიცავს გენმოდიფიცირებულ სოიას და დამუშავების პროცესში წარმოქმნილ ბენზპირენს.

მეოთხე ადგილზეა ბოსტნეული და ხილი. თვით ყველაზე სასარგებლო და ნატურალური პროდუქტი, შესაძლოა, შხამად იქცეს, თუ იგი მოყვანილია ტრასის გასწვრივ ან ქარხნის მახლობლად, რის გამოც პროდუქტში გროვდება ბენზპირენი და კიბოს გამომწვევი სხვა ნივთიერებები.

მეხუთეა მარგარინი, ცხიმის ყველაზე მავნე სახეობა. მისი შემცველი ყველა პროდუქტი მავნეა.

გრანადის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „ფასტ-ფუდის“ მუდმივ მომხმარებლებს, სხვებთან შედარებით, ხშირად აღენიშნებოდათ დეპრესია და აგრესია. მათ, როგორც წესი, ხშირად აწუხებთ შეშუპება, მარილების დაგროვება, თირკმლის პრობლემები, მაღალი წნევა. დიდ საშიშროებას წარმოადგენს ნახშირწყლებით მდიდარი საჭმლის, მაგალითად, კარტოფილის თბური დამუშავება. ამ დროს წარმოიქმნება აკრილამიდი, კარცეროგენური ნივთიერება. აკრილამიდი აზიანებს გენებს და იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს. იგი ასევე აზიანებს ნერვულ სის-



ტემას და იწვევს უნაყოფობას. კარტოფილის ჩიფსებში აკრილამიდის შემცველობა დასაშვებ დოზას 500-1000-ჯერ აღემატება.

რომელიმე თქვენგანი თუ დაფიქრებულა იმაზე, დიდხანს რატომ არ ფუჭდება „მაკდონალდსის“ ჰამბურგერები? მინიმუმ 12 წელი შესაძლებელია მათი შენახვა უცვლელად, რა თქმა უნდა, კონსერვანტების საშუალებით. გმირობის ტოლფასია შეფ-მზარეულის ჯეინ ოლივერის საქციელი, რომელმაც სარჩელი შეიტანა მსოფლიოში უდიდესი სწრაფი კვების ქსელების წინააღმდეგ. მან მსოფლიოს უჩვენა, თუ რისგან ამზადებდნენ „მაკდონალდსის“ „ქიმიურ“ ჰამბურგერებს. საქონლის ცხიმს „რეცხავენ“ ამონიუმის ჰიდროქსიდით და შემდეგ უმატებენ ჰამბურგერს, რის გამოც საკვები მავნე ხდება. ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ დაბალი ხარისხის ხორცსაც. ოლივერმა პროცესი მოიგო, ფირმამ კი განაცხადა, რომ რეცეპტს შეცვლიდა.

დიდ საშიშროებას წარმოადგენს ანტიბიოტიკების შემცველი ქათმის ხორცი. განსაკუთრებით იგი ბავშვებისთვისაა საშიში. ასეთი ხორცი ხელს უწყობს ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიების გამრავლებას. ინტენსიურმა ანტიბიოტიკურმა თერაპიამ გამოიწვია, პრაქტიკულად, ყველა არსებული ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტულ მიკროორგანიზმთა შტამების წარმოქმნა. ამიტომ იქმნება ახალი უფრო ძლიერი პრეპარატები, რასაც მოჰყვება უფრო და უფრო მდგრადი ბაქტერიების წარმოშობა. მეფრინველეობაში ანტიბიოტიკების უზომო გამოყენება წარმოადგენს იმის მიზეზს, თუ რატომ არის ძირითადი სამკურნალო პრეპარატები არაეფექტური ან ნაკლებად ეფექტური ადამიანის დაავადებათა სამკურნალოდ. გარდა ამისა, ფრინველებს ხშირად კვებავენ გმ საკვებით. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს კომბინირებული საკვებისა და ვეტერინარიული პრეპარატების მაკონტროლებელი დამოუკიდებელი ლაბორატორიები.

მრავალი შხამის დასახელებას ეტიკეტზეც ამოიკითხავთ: ნატრიუმის ნიტრატი, პროპილენგლიკოლი, საქარინი, ასპარტამი, ფოსფორმჟავა, ჰიდროგენიზირებული ცხიმი და ა.შ. პროდუქტებს მიმზიდველი ფერის მისაცემად უმატებენ საღებავებს, რომელთა უმრავლესობა საკმაოდ მავნეა. ასევე მავნეა მადის მომგვრელი სხვადასხვა პრეპარატებიც. მაგალითად, გემური თვისებების გასაუმჯობესებლად იყენებენ ნატრიუმის გლუტამინატს, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას სისხლის საშუალებით ადვილად იჭრება ტვინში და იწვევს საკვებით გამოწვეულ ტკბობას და მისი კვლავ მიღების სურვილს. ნატრიუმის გლუტამინატი, რომელსაც ხშირად შეხვდებით კვების პროდუქტებში, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მოზარდის ტვინს. ნატრიუმის გლუტამინატი ნარკოტიკივით მოქმედებს. ბავშვი ასეთ საკვებზე დამოკიდებული ხდება და ხშირად უარს ამბობს სახლში მომზადებულ კერძებზე. ნატრიუმის გლუტამინატი ზიანს აყენებს მხედველობასაც, რაც ერთჯერადი მიღებითაც კი შეიძლება გამომჟღავნდეს. მისი ხანგრძლივი ხმარება იწვევს თვალის ბადურის დაშლას. ბავშვები ვერ იღებენ ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელ საჭირო მიკროელემენტებს და ვიტამინებს, რადგან ასეთი საკვები მათ არ შეიცავს. საბოლოო ჯამში, აშკარაა სწავლაში ჩამორჩენა, დაავადებები და ქცევის პრობლემები (მაგალითად, ფართოდ გავრცელებული ჰიპერაქტიურობა). ნატრიუმის გლუტამინატს დიდი რაოდენობით შეიცავს სწრაფი კვების პროდუქტები. მიუხედავად მავნე გავლენისა, მისი გამოყენება დღესდღეობით მაინც არ არის აკრძალული.

ზურაბ ქუმსიაშვილი

რატომ არ ავადდებიან ათონელი ბერები კიბოთი?

ამ უცნაურ ფაქტს პირველად ბერძენმა მედიკოსებმა მიაქციეს ყურადღება, მაგრამ სულ მალე ამან მთელი მსოფლიოს ექიმები და მკვლევარები დააინტერესა. აღნიშნულ ფაქტზე სერიოზული სამეცნიერო კვლევები 1962 წელს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. შედეგად დამტკიცდა, რომ ათონის მინასტრის ბერები არც არასოდეს დაავადებულან და არც ახლა ავადდებიან კიბოთი.

მოცემული დასკვნა გაკეთდა ცხედრებისა და ნარჩენების გამოკვლევით, რომელთა ასაკი რამდენიმე ათასი წლის ფარგლებში მერყეობს.

ამ საოცარი ფაქტის ასახსნელად ბევრი სხვადასხვა თეორია იქნა წამოყენებული, რომელთაგან, საბოლოო ჯამში, ყველაზე სარწმუნოდ მხოლოდ ერთი მიიჩნიეს: ამ საშიში დაავადების თავიდან აცილებაში ათონელ ბერებს მათი კვებისა და ცხოვრების რეჟიმი ეხმარებათ. სწორედ ამაზე ვისაუბრებთ ქვემოთ.

აღმოჩნდა, რომ ისინი საერთოდ არ იღებენ ხორცს, სამაგიეროდ მიირთმევენ ბევრ ხილსა და ბოსტნეულს, რადგან უმეტეს დროს მძიმე მარხვაში ატარებენ.

სწორედ მათი ჯანსაღი, ცხიმებისგან თითქმის დაცლილი საკვები იცავს ბერებს კიბოსა და ბევრი სხვა დაავადებისგან და მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს განაპირობებს. ცნობილია ბევრი შემთხვევა, როცა ათონის ბერები 110 წელსა და უფრო მეტ ასაკს ყოფილან მიღწეული. მათი სიცოცხლის საშუალო ასაკი 94 წელია და ეს უკვე დიდი ხანია, ოფიციალურად დადგენილი ფაქტია.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, მათი დიეტის მთავარი პრინციპები მართლმადიდებლური რელიგიის წესებით არის რეგულირებული, რომლებიც მორწმუნეებს მოუწოდებს, მოიხმარონ პროდუქტი გონივრული რაოდენობით, უცხიმოდ, მცირედი და ხშირ-ხშირი ულუფებით.

ისეთ დღესასწაულებზეც კი, როგორიც აღდგომაა, ბერები არ მიირთმევენ ხორცს. სამაგიეროდ, მათ რაციონში შედის სხვადასხვაგვარი თევზეული, თხის, ძროხისა თუ ცხვრის ყველი და სხვა ცილოვანი პროდუქტები, როგორიცაა, ბარდა და ლობიო. აღსანიშნავია ისიც, რომ ხილი და ბოსტნეული, რომლებსაც ისინი მოიხმარენ, თავად ბერების მოყვანილია, რაც ასევე ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები ასუფთავებს ორგანიზმს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყოველდღე, ნებისმიერ ამინდში, ბერები გარკვეულ დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე, ფიზიკურად შრომობენ, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის.

მართლმადიდებლურ დიეტასთან ერთად, ათონელი ბერების ჯანმრთელობაში, მეცნიერების აზრით, მთავარ როლს ასრულებს ისიც, რომ ისინი თანამედროვე ცხოვრების მღელვარებიდან, სტრესიდან და ქალაქის დაბინძურებული ჰაერიდან შორს ცხოვრობენ. როგორ შეიძლება ათონელი ბერების ცხოვრების წესის ჩვენს თავზე მორგება იმისთვის, რომ თავი დავიცვათ ავადმყოფობებისგან, შევინარჩუნოთ შესანიშნავი ფიზიკური და გონებრივი ფორმა და დიდხანს ვიცოცხლოთ?

წესები არცთუ ისე ბევრია:

1. თავი აარიდეთ სტრესებს, ნერვიულობას და სიბრაზეს — გაიწმინდეთ სული და მაშინ ის გახდება თქვენი სხეულის მთავარი წამალი.

2. ხშირად იყავით სუფთა ჰაერზე, გადით ქალაქგარეთ, ტყეში.

3. გადადით უბრალო საკვების მოხმარებაზე, უარი თქვით კონსერვანტებზე, ცხიმებზე, ხორცზე და ძნელად გადასამუშავებელ კერძებზე.

4. კვირაში თუნდაც სამი დღით — მაგალითად ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს, — დაიცავით მკაცრი მარხვა და მიირთვით მხოლოდ უმი ხილი და ბოსტნეული.

5. კვირაში 5-ჯერ, დღეში თუნდაც 2 საათი დაუთმეთ ფიზიკურ შრომას ან სპორტს.

6. მოაწესრიგეთ თქვენი სექსუალური ცხოვრება და დაიყვანეთ სქესობრივი აქტივობა თვეში 3-4 ჯერზე.

7. უარი თქვით ისეთ თვითმკვლელ ჩვევებზე, როგორიცაა სიგარეტი და ალკოჰოლი.

PROGRESSNEWS.GE

ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ღმერთი, ოჯახი და ქვეყანაა

ამის შესახებ ტრამპმა Daytona-500-ის ავტორბოლის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა. „Daytona-500 ლეგენდარული რბოლაა. დღეს ათი ათასობით პატრიოტი მოვიდა აქ, რათა მსოფლიო კლასის უსწრაფესი ავტომობილები იხილონ. თუმცა, NASCAR-ის ფანები არასოდეს დაივიწყებენ, რომ მიუხედავად იმისა თუ ვინ გაიმარჯვებს დღეს, ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ღმერთი, ოჯახი და ქვეყანაა. რეზინა დაიწვება, ფანები იყიჟინებენ და უდიდესი ამერიკული ავტორბოლა დაიწყება“, — განაცხადა ტრამპმა.

გახსნის ცერემონიას დონალდ ტრამპთან ერთად მისი მეუღლე მელანია ტრამპიც ესწრებოდა. რბოლის დაწყებამდე აშშ-ის პრეზიდენტმა თავის ლიმუზინით საპატიო წრე დაარტყა. NASCAR Daytona 500-ის ავტორბოლის გახსნის ცერემონიას დაახლოებით ასი ათასი ადამიანი დაესწრო. ეს აშშ-ში ყველაზე პოპულარული საავტომობილო რბოლაა.

სირიის სამთავრობო ჯარები ალეპოში შევიდნენ

რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებების დაწყებამდე ერთი დღით ადრე სირიის სამთავრობო ჯარებმა ალეპოს ძირითადი ნაწილი დაიკავეს. რუსეთის ავიაციის მხარდაჭერით ასადის სამთავრობო ძალებმა რეგიონში აქტიური საბრძოლო მოქმედებები დეკემბრიდან განაახლეს. კვირას, გვიან ღამით, სამთავრობო ძალებმა ალეპოს ძირითად ნაწილზე 2012 წლის შემდეგ კონტროლი პირველად დაამყარეს.

ბაშარ ასადის არმიის წარმატებებმა ანკარასა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებებზე უარყოფითად იმოქმედა. მანამდე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ რუსეთს სირიის პროვინცია იდლიბზე იერიშების დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდა.

რუსეთი და თურქეთი სირიის სამოქალაქო კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობენ. მოსკოვი მხარს პრეზიდენტ ბაშარ ასადს უჭერს, თურქეთი კი — მეამბოხეებს. კონფლიქტის ბოლო ეტაპმა იდლიბის პროვინციაში გადაინაცვლა, სადაც ასადის ჯარს რუსული ავიაცია ეხმარება. გაეროს მონაცემებით, საბრძოლო მოქმედებების გამო 1 დეკემბრიდან იდლიბში საკუთარი სახლების დატოვება 800 ათასზე მეტ ადამიანს მოუწია. მათი უმეტესობა ქალი და ბავშვია.

ირლანდიას რუსეთის ჯაშუშები შეესივნენ

ირლანდიის სამართალდამცავი უწყებები ეჭვობენ, რომ რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები ირლანდიის სანაპიროებთან გამავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების ადგილმდებარეობის დადგენას ცდილობენ. ოკეანის ფსკერზე გამავალი კაბელი ევროპასა და აშშ-ს აკავშირებს. „სანდეი თაიმსი“ წერს, რომ „რუსეთის ჯაშუშები ცდილობენ, ინტერნეტ ქსელის სუსტი ადგილები იპოვონ, რაც შესაძლოა, მომავალში დივერსიებისთვის იყოს გამოყენებული.“

რუსეთის მხრიდან ტრანსატლანტიკური კაბელების მიმართ დაინტერესების შესახებ ინფორმაცია პირველად 2015 წელს გავრცელდა, როდესაც ამერიკელმა სამხედროებმა ევროპისა და ამერიკის დამაკავშირებელ ქსელთან რუსული წყალქვეშა ნავები შენიშნეს. ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ირლანდიის სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ რუსეთი ირლანდიის კონტრდაზვერვის გვერდის ავლით, ირლანდიას საკუთარ ბაზად იყენებს.

აღმოჩენა, რომელმაც მსოფლიო გააოცა!

◎ ჭიდაობა

გენო რომი „დახურა“



იტალიის **დედაქალაქში დამთავრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა საერთო ჯამში ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურეს.**

უკვე ვწერდით, რომ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველებმა ორ-ორ „ვერცხლსა“ და „ბრინჯაოს“ გამოჰკრეს ხელი და გუნდური მეხუთე ადგილი დაიკავეს. მერე თავისუფალი სტილით მორკინალთა ჯერი დადგა. ასპარეზობის ბოლო დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **გენო პეტრიაშვილი** (125 კგ). გორელმა სპორტსმენმა ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მეორედ დაისაკუთრა და რომში საჭიდაო მარათონი ქართული ჰიმნით დაიხურა.

გენომ ტურნირზე ოთხივე ბრძოლა ისე მოიგო, რომ პრობლემა არ შექმნია — მეტოქეებს 40 ქულა აართვა და თავად მხოლოდ ორი ქულა დათმო: ჩვენებურმა ზედიზედ დაამარცხა ესპანელი ხოსე კუბა ვასკესი (11:0), რუსი ბალდან ციჟიპოვი (11:0) და უკრაინელი ალექსანდრ ხოციანივსკი (7:2), ფინალური ორთაბრძოლის პირველ პერიოდში პოლონელ რობერტ ბარანს 11:0 მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა.

61 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი **ბექა ლომთაძე** ვერცხლის მედალს დასჯერდა. ქართველი ფალავანი ფინალში რუს ალექსანდრ ბოგომოევთან 2:3 დამარცხდა. მანამდე ლომთაძემ რუმინელი ნიკოლა ოხლოპკო (10:0), მოლდოველი ლეონიდ კოლესნიჩი (10:0) და აზერბაიჯანელი ინტიგამ ვალიზადე (2:1) ჩამოიშორა გზიდან.

74 კილოში **ავთანდილ კენჭაძემ** პირველ წრეში სომეხი ჰრაირ ალიხანიანი 9:2 დაჯაბნა, თუმცა, მერე რუს მაგომედრასულ გაზიმაგომედოვთან თავადაც 2:9 წააგო. რადგანაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ფინალში გავიდა, კენჭაძე დამამშვიდებელში ჩაერთო, სადაც ჯერ ესპანელ ჯონათან ალვარეს დიასს 10:0 სძლია, მერე ბულგარელ მიროსლავ კიროვს 8:0 მოუგო და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

97 კილოში მსგავს წარმატებას მიაღწია **ელიზბარ ოდიკაძემ,** რომელმაც ზედიზედ ორ მეტოქეს აჯობა — სომეხ სარგის ჰოვსეპიანსა (5:0) და ბელარუს დზიანის ხრამიანკუს (6:3), ნახევარფინალში რუს აბდულრაშიდ სადულაევთან ვერაფერს გახდა (0:6), ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში კი აზერბაიჯანელი ნურმაგომედ გაჯიევი 3:2 დაამარცხა.

ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა საერთო გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს.

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

თანაბარი ქულებით

მცხეთაში **საქართველოს ხელბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე წრის მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა აღმოსავლეთის ზონის გუნდებისთვის. 2018 წლის ჩემპიონმა თბილისის „ქარიშხალამ“ 2017 წლის გამარჯვებულ „ყვარელს“ პირველ წრეში 32:30 აჯობა, ამჯერად კი ყვარლელებმა იყოჩაღეს და მეტოქეს 40:35 მოუგეს, თანაც ლიდერს ქულებით გაუთანაბრდნენ, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე გადაინაცვლეს.**

მე-10 ტურის მეორე შეხვედრაში „პეგასმა“ „მამულს“ 37:22 სძლია და ახლა მე-5 ადგილზეა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ყვარელი	10	9	0	1	357:242	18
ქარიშხალა	10	9	0	1	299:258	18
სამტრედია	7	4	0	3	131:127	8
ფოთი	7	3	1	3	138:122	7
პეგასი	10	3	0	7	252:273	6
მამული	10	3	0	7	219:267	6
აჭარა	7	2	1	4	152:143	5
წყალტუბო	7	0	0	7	106:222	0

ორწრიანი ტურნირის შემდეგ 4 საუკეთესო გუნდი საქართველოს 2020 წლის ჩემპიონს ფინალური კვარტეტის ფორმატით გამოავლენს.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

ოქრიაშვილი დაბრუნდა

კვიპროსის **ჩემპიონატის მეოცე ტურში ფამაგუსტას „ანორთოსისმა“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ლიდერობა გაიმყარა. თემურ ქეცბაიას გუნდმა „ნეა სალამინას“ უმასპინძლა და დრამატულ ბრძოლაში 3:2 სძლია.**

პირველ ტაიმში ფამაგუსტელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ სტუმრებმა ორჯერვე გაათანაბრეს ანგარიში, 81-ე წუთზე კი მიხალ დურისმა გამარჯვების გოლი გაიტანა და „ანორთოსისს“ მოაგებინა.

თავიდანვე გეტყვით, რომ საგოლე კომბინაციებში „ჯვაროსნებს“ მონაწილეობა არ მიუღიათ, მინდორზე კი ხუთივე ჩვენებური იყო. ტრავმის შემდეგ დაბრუნდა თორნიკე ოქრიაშვილი, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა. მასავით 90 წუთი იყვნენ მოედანზე გიორგი ლორია და მურთაზ დაუშვილი, ნიკა კაჭარავა ქეცბაიამ შესვენებაზე შეცვალა, ხოლო ჯანო ანანიძე თამაშში 77-ე წუთიდან ჩაერთო.

ოქრიაშვილი საკმაოდ აქტიური იყო და რამდენჯერმე შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. რამდენიმე საგოლე შანსი მან თანაგუნდელებსაც შეუქმნა. ორჯერ დაუშვილმა შორი დისტანციიდან დააპირა გატანა, მაგრამ არ გამოუვიდა, ხოლო გიორგი ლორიამ საკუთარი გუნდი გოლისგან რამდენჯერმე იხსნა. განსაკუთრებით გამოსარჩევია მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში განხორციელებული სეივი, რითაც გამარჯვებაში მართლაც დიდი წვლილი შეიტანა.

„ანორთოსისმა“ 43 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზეა. იგი უახლოეს მდევარ „ომონიას“ 4 ქულით უსწრებს, რომელმაც ბოლო ორ ტურში კინკილა ქულა მოიპოვა. იქვეა „აპოელიც“, რომელიც ჩვენებურთა გუნდს 5 ქულით ჩამორჩება.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ლებრონის გუნდმა მოიგო, კავაი MVP გახდა

ნაციონალური **საკალათბურთო ასოციაციის რიგით 69-ე „ოლ სტარი“ ჩიკაგოში გაიმართა. სადაც ლებრონის გუნდმა იანისის გუნდს 157:155 მოუგო.**

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მესამე პერიოდში იანისის გუნდი 13 ქულითაც იგებდა, მაგრამ უპირატესობა გაანიავა. მატჩის MVP მოგებული გუნდიდან აირჩა და შეხვედრაში ყველაზე მეტი 30 ქულის ჩამგდები კავაი ლეონარდი გახდა. მან ეს ტიტული პირველად მოიგო, თანაც ნბას კომისრის ადამ სილვერის განცხადებით „ოლ სტარის“ MVP-ის ტიტული ამიერიდან კობი ბრაიანტის სახელობის იქნება.

ლებრონის გუნდი: **კავაი ლეონარდი (30 ქ. 7 მ.), პოლი (23 ქ.), ჯეიმსი (23 ქ. 6 პ. 5ა. მ.), დევისი (20 ქ. 9 მ.), სიმონსი (17 ქ. 6 მ. 5 პ. ჰარდენი (11 ქ. 6პ.), დონჩიჩი (8 ქ), ბუკერი (6 ქ.), უესტბრუკი (6 ქ.), ტატუმი (6 ქ.), იოკიჩი (5 ქ.), საბონისი (2 ქ). იანისის გუნდით: (ანტეტოკუნმპო (25 ქ. 11 მ. 4 პ.), უოლკერი (23 ქ.), ემბილდი (22 ქ. 10 მ.), გობერი (21 ქ. 11 მ.), სიაკამი (15 ქ.), ლოური (13 ქ, 8 პ. 5 მ.), იანგი (10 ქ. 10 მ.), ადებაიო (8 ქ.), მიტჩელი (7 ქ.), მიდლტონი (5 ქ.), ბატლერი (2 ქ.), ინგრამი (2 ქ.).**

ამომავალი ვარსკვლავების მატჩი: აშშ — მსოფლიოს ნაკრები: 151:131. — საუკეთესო მოთამაშე. მაილზ ბრიჯესი — 20 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი.

ჩატენვები: დერიკ ჯონსი („მაიამი“).

სამქულიანები: ბადი ჰილდი („საკრამენტო“).

ოსტატობა: ბემ ადებაიო („მაიამი“).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ვანდა ნარას მამა შემოსწყრა

საფრანგეთში **გადაბარგებული არგენტინელი თავდამსხმელი მაურო იკარდი, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მისი ოჯახის ამბები ბულვარულ მედიას ასე დააინტერესებდა და ბოლოს ასპარეზზე არც მეტი არც ნაკლები, მაუროს სიმამრი და, შესაბამისად, მისი ცოლის, ვანდა ნარას მამა, ანდრეს ნარა გამოვიდოდა.**

ანდრეს ნარა დიდი მოლაყბე ვინმე ყოფილა. აბა, სხვა რა უნდა ვთქვათ ამ კაცზე, რომელიც ადგა, პირი მოაღო და თავის ორ ქალიშვილზე — ვანდასა და ზაირაზე თავპატიჟდაუდებლად ისაუბრა. ანდრესი ამბობს, რომ მისი გოგოები მეტად განსხვავებულები არიან და ძალიან წყდება გული, რომ ვანდამ ფული და ყალბი პოპულარობის მოხვეჭა არჩია და არ მიბაძა მის დას, რომელიც არც მშობლებს ივიწყებს და არც არგენტინის ნაკრების ფეხბურთელთა საწოლებში უბეღრავია.



ვანდა ნარას მამამისის ამ გამოხდომაზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ რომ არ გაუხარდებოდა — ცხადია.

ზოგი ჭირისა არ იყოს...

კორონავირუსმა საქართველოს ტურისტული სექტორი შეიძლება ახეიროს კიდეც

კორონავირუსმა, შესაძლოა, მსოფლიო ტურიზმს ძალიანაც ავნოს, მაგრამ საქართველოს ხეირი მოუტანოს. პირველი დასკვნა ისაა, რომ ჩინეთში განვითარებული მოვლენები ადგილობრივ ტურისტულ მზარდ დინამიკას ვერ მიაყენებს, ხოლო ხანგრძლივ ვადაში შეიძლება არგოს კიდეც.

საინვესტიციო ბანკი „გალტ ენდ თაგარტი“ ჩინეთთან დროებით შეჩერებული ავიამიმოსვლის ტურიზმზე ნეგატიურ ასახვას არ ელის. საქართველომ ჩინეთთან ავიამიმოსვლა კორონავირუსის გამო აპრილამდე შეაჩერა.

კვლევითი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოში ჩინელი ტურისტების რაოდენობა საკმაოდ მცირეა და მათ მთლიან ტურისტულ ვიზიტებში მხოლოდ 0.6% უკავიათ. შესაბამისად, ჩინეთთან ფრენების შეზღუდვა ტურიზმის სექტორზე მინიმალურად აისახება. 2019 წლის პირველ კვარტალში ჩინელმა ტურისტებმა საქართველოში 3.8 მლნ დოლარი დახარჯეს, რაც მთლიანი ტურისტული შემოსავლის მხოლოდ 0.7% იყო.

„შესაბამისად, სხვა ქვეყნებიდან მზარდი შემოდინება აღნიშნულ დანაკლისს სრულად დააკომპენსირებს. მოლოდინი შეიძლება შეიცვალოს, თუკი გლობალურად ვირუსის გავრცელების არეალი გაიზრდება“, — აღნიშნავენ საინვესტიციო ბანკში.

მეზობელი ქვეყნებიდან რომ ტურისტული ნაკადი შეიძლება გაიზარდოს, ამას ადასტურებენ როგორც ადგილობრივი ექსპერტები, ასევე უცხოური ანალიტიკოსები. საქმე ისაა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების მიმართულებით თითქმის ყველა თავს შეიკავებს და უფრო უსაფრთხო მარშრუტებს აირჩევენ. ასეთი ალტერნატივა საქართველო და ეგვიპტე იქნება.

2020 წლის გაზაფხულზე რუსი ტურისტებისათვის აქამდე ჩაკეტილი მიმართულებები გაიხსნება, საუბარია ეგვიპტესა და საქართველოზე. ამ კუთხით აქტიური კონსულტაციები დაწყებულია. გამოცემა **„ტურპრომ.რუ“** წერს, რომ ამ მიმართულებების გახსნის სასარგებლოდ ახალმა კორონავირუსმა იმუშავა. ჩინეთის ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ რუსულმა ტურისტულმა სააგენტოებმა დიდი ზარალი ნახეს და საჭიროა ახალი მიმართულებების გახსნა, „ახალ მიმართულებებად“ კი სწორედ რომ, ეგვიპტე და საქართველო მოიაზრება.

ტურიზმის სფეროს სპეციალისტი **მარინა მეტრეველი** მიიჩნევს, რომ ეს სრულებით შესაძლებელი და ბუნებრივია, რადგან ტურისტები აუცილებლად დაიწყებენ ალტერნატიული ადგილების ძიებას.

„თავისთავად ცხადია და რეალური, რომ საქართველოს მიმართულებაზე გადმოერთონ რუსი ტურისტები, მით უფრო, რომ ჩვენ ახლო მიმართულება ვართ მათთვის. მთავარი კითხვა ისაა, რას მოგვცემს ეს ჩვენ? არ ვიცი, რამდენად ხელსაყრელია იმ რეალობაში, როცა პირდაპირი ფრენა არ გვაქვს, თუმცა მათ შეუძლიათ, მანქანებითაც შემოვიდნენ.

ზოგადად, ძალიან რთულია რამის პროგნოზირება რუსეთთან მიმართებით იმიტომ, რომ ამას მთლიანად პოლიტიკური კონტექსტი განსაზღვრავს. ახლა არ ვიცით, რა იქნება მაისში, ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული და არა ფუნდამენტურ ფაქტორებზე“, — განაცხადა მეტრეველმა.

მიუხედავად რუსეთის საჰაერო ემბარგოსი, ქართული ტურიზმის სექტორი კვლავ მაღალი ტემპით იზრდება, 2020 წლის იანვარში 633201 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა. ზრდა, წინა წლის იანვართან შედარებით, 19.8%-ია.

ბექა დანელია

„შავი წერტილები“ საქართველოს გზებზე

საქართველოში ავარიებისა და ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპულთა რაოდენობა არ იკლებს, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ თუ რეგიონულ გზებზე ათასობით ვიდეოკამერაა დამონტაჟებული. ამიტომ აუცილებელი გახდა ე.წ. შავი წერტილების განსაზღვრა და შემდეგ, უკვე, ამ ადგილებში საფრთხის თავიდან აცილება. პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა უკვე შესულია. პირველ ეტაპზე მოხდება არაუმეტეს 300-მეტრიანი მონაკვეთის დადგენა, სადაც 3 წლის განმავლობაში დაფიქსირდება არანაკლებ 4 საგზაო შემთხვევა, რომელსაც მოჰყვა ადამიანის გარდაცვალება ანდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

საქართველოში ყოველწლიურად ასობით ადამიანი სიცოცხლეს ავტოსაგზაო შემთხვევით ასრულებს. ამიტომ, სპქციალისტები ფიქრობენ, რომ ამ საკითხის კანონის დონეზე მოგვარება, მართლაც საჭიროა, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვს შეამცირებს. ე.წ. შავი წერტილების ინიციატივის ავტორი ეკონომიკის სამინისტროა.

საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **შალვა ოგბაიძე** ამბობს, რომ გზებზე „შავი წერტილი“ უკვე დიაგნოზია, რომლის შემდგომი აღმოფხვრაც იოლი და შედეგის მომტანია.

„შავი წერტილი“ ჰქვია იმ ადგილს, სადაც ხშირად ხდება ავარიები. ისევე როგორც ნებისმიერ ავადმყოფობას მკურნალობის უნივერსალური რეცეპტი არ გააჩნია, კონკრეტულ ადგილზე ავარიასაშიშ ე.წ. შავი წერტილის აღმოფხვრას ინდივიდუალური ანალიზი სჭირდება. ზოგან შესაძლოა, იყოს ღამით ცუდი განათება, შესაძლოა — სარეკლამო აბრის მეშვეობით შეზღუდული მხედველობა, შესაძლოა, ეს იყოს უბრალო ინფრასტრუქტურული ხარვეზი, მაგალითად, ახდილი ან ჩაწეული ჭის ბუდე, ან გზის პროფილი.

ბევრი მიზეზია და როდესაც ერთსა და იმავე ადგილზე ავარიების განმეორება ხდება, ეს კონკრეტულად საგზაო სპეციალისტების ჩარევას მოითხოვს. ასე განისაზღვრება ეს „შავი წერტილები“. მის აღრიცხვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ავარიების შემცირების თვალსაზრისით. ამის აღრიცხვა რომ არ ხდებოდეს, ყველგან შედგება ავარიის ბანალური ოქმი, მაგრამ თუ ეს ყველაფერი ერთი და იმავე ადგილზე ხდება, მაშინ ესაა კლასიკური „შავი წერტილი“, რომელიც სწრაფ ჩარევას მოითხოვს. ამიტომ ამ საკითხის ინიცირება მეტად მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა ოგბაიძემ.

„ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე **ეკა ლალიაშვილიც** ადასტურებს, რომ მნიშველოვანია, მოხდეს სარისკო მონაკვეთების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მოხდება პრობლემის აღმოფხვრა.

„დღეს ბევრი „შავი წერტილი“ გვაქვს, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული და დაზუსტებით არ ვიცით, სად არის ეს მონაკვეთი. პრობლემურია ის მონაკვეთები, სადაც წლის განავლობაში რამდნეიმე შემთხვევა ხდება და ფატალურად სრულდება ანდა მძიმე ტრავმით. გარდა იმისა, რომ განისაზღვროს, რა არის „შავი წერტილი“, მნიშვნელოვანია, საპარტულო პოლიციამ საგზაო შემთხვევის შემდეგ, დააფიქსიროს კონკრეტული ავარიის ადგილი, რომელიც აისახება ელექტრონულ რუკაზე, როგორც „შავი წერტილი“.

შემდეგ უკვე, როდესაც ელექტრონული რუკა გვექნება, მოხდება შესწავლა, თუ რა ფაქტორების გამო მოხდა ეს შემთხვევები და მისი განეიტრალება დაიწყება“, — განაცხადა ლალიაშვილმა.

2018 წელს საქართველოში 6452 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რამაც გამოიწვია 459 ადამიანის დაღუპვა და 9048 სხეულის მძიმე დაზიანება. 2019 წლის 11 თვის მდგომარეობით (იანვარი-ნოემბერი) კი აღრიცხულია 5330 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რამაც გამოიწვია 427 ადამიანის დაღუპვა და 7291 სხეულის მძიმე დაზიანება.

ბექა დანელია

კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 1770-მდე გაიზარდა

გუშინ, კორონავირუსით კიდევ 105 ადამიანი გარდაიცვალა და დაღუპულთა საერთო რაოდენობამ 1770-ს მიაღწია. ინფორმაციას ამის შესახებ ჩინეთის ჯანდაცვის ეროვნული კომიტეტი ავრცელებს.

ქვეყანაში კორონავირუსით ინფიცირების 2050 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, დადასტურებული შემთხვევების რაოდენობამ კი 70 550 შეადგინა. დღემდე ვირუსით ინფიცირებული 10 879 ადამიანია გამოჯანმრთელებული.

ჰუბეის პროვინციაში, რომელიც კორონავირუს Covid-19-ის გავრცელების ეპიცენტრად ითვლება, მოსახლეობას სახლებიდან გასვლა აუკრძალეს.

ქუჩებში ფეხით მოსიარულეებისა და ტრანსპორტის გადაადგილება კატეგორიულად იკრძალება. გამონაკლისი მხოლოდ პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის მანქანებზეა დაშვებული. კანონდამრღვევებს 10-დღიანი პატიმრობა და ფულადი ჯარიმის გადახდა, ასევე, მართვის მოწმობის ჩამორთმევა ემუქრებათ.

იაპონიაში კი კორონავირუსის გავრცელების გამო, 2020 წლის 23 თებერვალს ტოკიოში იმპერატორ ნარუჰიტოს დაბადების დღის აღნიშვნა გადადეს.

იმპერატორის სასახლეში მონარქის დაბადების დღე აღარ აღინიშნება. ნარუჰიტო იაპონიის იმპერატორი 2019 წლის მაისში გახდა. მანამდე ამ ტიტულს მამამისი, აკიჰოტო ატარებდა.

◎ ჭადრაკი

მეშვიდე ადგილზე

სენტ ლუისის (აშშ) საჭადრაკო კლუბის ელიტურ ტურნირ Cairns Cup-ზე (საპრიზო ფონდი 180.000 ამერიკული დოლარი), რომელშიც ექვსი ქვეყნის 10 წარმომადგენელი ასპარეზობდა, ქართველმა დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ ფინიშზე ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო, ცხრა შესაძლებლობიდან 4 ქულა მოაგროვა და მე-7 ადგილს დასჯერდა. არადა, საწყის ოთხ ტურში მას 3 ქულა ჰქონდა, მაგრამ მომდევნო ხუთ ტურში მონაგარს მხოლოდ ქულა შესძინა.

ბოლო, მე-9 ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) — ჰამპი კონერუ (ინდოეთი) 0.5:0.5, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) — ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი) 0:1, კარისა იიპი (აშშ) — მარია მუზიჩუკი (უკრაინა) 0.5:0.5, ირინა კრუში (აშშ) — ნანა ძაგნიძე 1:0, ვალენტინა გუნინა (რუსეთი) — კატერინა ლაგნო (რუსეთი) 0.5:0.5. ექვსი ქულით პირველი ადგილი ინდოელმა **ჰამპი კონერუმ** დაიკავა და მთავარი პრიზი — 45.000 დოლარიც დაიმსახურა.

ტურნირის საბოლოო შედეგები: ჰამპი კონერუ — 6, ცზიუი ვენძიუნი — 5.5, მარია მუზიჩუკი — 5, ალექსანდრა კოსტენიუკი — 5, კატერინა ლაგნო — 4.5, ჰარიკა დრონავალი — 4.5, ნანა ძაგნიძე — 4, ირინა კრუში — 4, კარისა იიპი — 4, ვალენტინა გუნინა — 2.5 ქულა.

ლექსო ცინცაძე

ხანძარს საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი და ამბულატორია შეეწირა

ხონის რაიონის სოფელ ჩაისუბანში საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი და ამბულატორია დაიწვა.

ხანძარი ამ დროისთვის ლოკალიზებულია. სალიკვიდაციო სამუშაოებში 7 სახანძრო ავტომანქანა და 35 მაშველი იყო ჩართული.

დაწესებულებებიდან ხალხის ევაკუაცია დროულად მოხერხდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი სავარაუდოდ, ელექტროგაყვანილობა გახდა.

გიორგი კეკელიძე: დავმარცხდებით!.. თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ გოგონები ნივთები არ არიან!

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე სოციალურ ქსელში ყარაჯალაში ახალგაზრდა ქალის მკვლელობის ფაქტს ეხმაურება.

„ერთი დღით ადრე, სანამ ახალგაზრდა ქალს ქმარი თუ ქმარყოფილი ყელს გამოჭრიდა, იმ სოფლის სკოლაში წიგნები ჩავიტანეთ. ახლა ვფიქრობდი, რომ ის გოგონაც, ალბათ იმ სკოლაში სწავლობდა და შესაძლოა, ის კაციც. და ორივეს ოდესღაც ისეთივე ანთებული თვალები ჰქონდათ და ეს თვალები სულ სხვა მომავალს ეძებდნენ. სულ სხვას, ვიდრე ახლა ჩამოდგა. და მივხვდი, რომ ხვალინდელი დღეც ასეთი იქნება. ზუსტად ასეთი. განა მარტო იმ სოფელში. ყველგან. შევეშვათ ეთნოსებისკენ ცალი ხელის გაშვერას და ცალით საკუთარი უსინდისობის და უმაქნისობის ჩუმად მოწმენდას. ფემიციდი მხოლოდ მკვლელობა არ არის. ეს ქალების განდევნის ხელობაა. ყოველდღე და ყველგან. კვირაში ორ სოფელს მაინც ვსტუმრობთ. როცა წიგნებს ვარიგებთ, უმეტესად მასწავლებლები პატარა ბიჭებს გამოუშვებენ ხოლმე წიგნებისკენ და გოგონები მორცხვად, შორს დგანან. არადა, ორ-ორ წიგნს ვურიგებთ თითოს სიმბოლურად, განა რამე მძიმეს და შეუძლებელს. იქაც ვამბობ და აქაც ვიტყვი : ყველაფერი ასეთი მცირე, შეუმჩნეველი ამბებით იწყება და ჩვენ მომავალშიც გუშინდელივით დავმარცხდებით, თუ არ მივხვდით და თუ გოგონებს არ ვასწავლეთ, რომ წიგნებისკენ ისინიც ბიჭებთან ერთად უნდა გამოიქცნენ! თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ სირცხვილი არ არის, თუ გოგონები წიგნებისკენ ბიჭებთან ერთად მორბიან! თუ გოგონებს არ ვასწავლეთ, რომ ისინი თავისუფლები, ლაღები უნდა იყვნენ. მხოლოდ საკუთარი თავის საკუთრება, მხოლოდ საკუთარი ფიქრის მძევალი. თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ გოგონები ნივთები არ არიან, როცა გინდა, მოეფერო და როცა გინდა — გატეხო. თუ არ ვასწავლეთ აქ და ახლა. თუ არ ვასწავლეთ და არ ვისწავლეთ. ჩვენც და თქვენც!“, — წერს გიორგი კეკელიძე.

შეგახსენებთ, ყარაჯალაში ახალგაზრდა ქალს ყოფილმა მეუღლემ ყელი გამოჭრა.

420 წლის წინათ ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს



17 თებერვალს, ზუსტად 420 წლის წინათ ჯორდანო ბრუნო, რომელიც ამტკიცებდა, რომ დედამიწა ბრუნავს, კოცონზე დაწვეს.

დღეს ყველამ ვიცით, რომ დედამიწა მრგვალია და ბრუნავს, მაშინ კი მხოლოდ ჯორდანო ბრუნოს სჯეროდა და სწორედ ამის გამო დაწვეს.

პარიზში სკანდალური რუსი მხატვარი დააკავეს

პარიზში ცნობილი რუსი მხატვარი პიოტრ პავლენსკი და მისი მეგობარი ქალი დააკავეს. მიზეზი სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინტიმური ვიდეო გახდა, რომლის გამოც ფრანგ პოლიტიკოსს ბენჟამენ გრივოს პარიზის მერის არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნა მოუხდა.

პოლიტიკოსის მაკომპრომეტირებელი მასალა სოციალურ ქსელებში რუსმა მხატვარმა გაავრცელა, რომელიც აცხადებს, რომ ვიდეო მას გრივოს საყვარელმა მიაწოდა. ის სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევის ბრალდებით არის დაკავებული.

პიოტრ პავლენსკი კიდევ ერთ საქმეში ფიგურირებს. გავრცელებული ინფორმაციით, 31 დეკემბერს სენ-ჟერმენში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე ის სტუმრებს სამზარეულოს დანით ემუქრებოდა. ინციდენტისას 2 ადამიანი დაშავდა, თუმცა მხატვარი აცხადებს, რომ სტუმრები მას არ დაუჭრია.

პავლენსკიმ საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი 2017 წელს მიიღო. რუსეთში მას სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ. პარიზში პავლენსკი ხმაურიანი პოლიტიკური განცხადებებითა და ქმედებებით არის ცნობილი. შარშან მან საფრანგეთის ბანკის შენობას ცეცხლი წაუკიდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თურქეთში ქრისტიანთა საფლავები შეურაცხყვეს!

ანკარაში დააკავეს ექვსი მოზარდი, რომლებსაც ქრისტიანების საფლავების შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. როგორც თურქული გამოცემა „ჰურაიეთი“ წერს, ვანდალიზმის ფაქტი 20 ქრისტიანის საფლავზე დაფიქსირდა.

დაზიანებულია წარმოშობით რუსი მოქალაქეების საფლავებიც. მოზარდები სასაფლაოს დაცვის წევრებმა დააკავეს. მათი ასაკი 15-16 წელია. საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადაეგზავნა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე თურქეთში რუსეთის ელჩმა ალექსეი ერხოვმა განაცხადა, რომ სირიის ქალაქ იდლიბში სიტუაციის გამწვავების შემდეგ თურქულ სოციალურ ქსელებში ანტირუსული განწყობა შეინიშნება. რუსი დიპლომატის მტკიცებით, იყო მუქარები პირადად მისი მისამართითაც, რის გამოც თურქეთის ხელისუფლებამ რუსი დიპლომატების დაცვა გააძლიერა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ჩრდილოეთ კორეამ რუსეთისგან 12 ცხენი 75 509 დოლარად შეისყიდა



ჩრდილოეთ კორეამ რუსეთისგან 12 ცხენი შეისყიდა. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ რუსეთის საბაჟო სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც აღმოჩნდა, 2019 წელს რუსეთიდან ჩრდილოეთ კორეაში 12 ძვირადღირებული ცხენი გააგზავნეს. ცხენების საერთო ღირებულება 75 509 დოლარია.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფხენიანი ცხენებს რუსეთისგან ყიდულობს. 2015 წელს ჩრდილოეთ კორეამ 61 ცხენში რუსეთს 192 204 დოლარი გადაუხადა.

სულ 2010 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში ფხენიანმა რუსეთისგან 138 ცხენი შეისყიდა და 584 302 დოლარი გადაიხადა.

ელტონ ჯონმა ახალ ზელანდიაში კონცერტის დროს ხმა დაკარგა

ლეგენდარულმა მომღერალმა ოკლენდში მიმდინარე კონცერტის დროს შეუძლოდ იგრძნო თავი და გამოსვლა შეწყვიტა.

„ახლახან დავკარგე ხმა, ვერ ვიმღერებ. უნდა წავიდე, მაპატიეთ“, — განაცხადა სცენაზე მყოფმა 72 წლის მომღერალმა.

ამის შემდეგ პიანინოსთან მჯდომი მომღერალი ატირდა და ის სცენიდან დამხმარე პერსონალმა გაიყვანა.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ ექიმებმა ელტონ ჯონს ატიპური პნევმონიის დიაგნოზი დაუსვეს. 2018 წელს ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ საკონცერტო ტურებს წყვეტს, რათა მეტი დრო დაუთმოს ოჯახს. თუმცა, ამასთან ერთად მუსიკოსმა აღნიშნა, რომ 300 კონცერტს გამართავს და თაყვანისმცემლებს დაემშვიდობება.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8718; ევრო - 3.1127;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7402;
100 რუბლი - 4.5228; თურქული ლირა - 0.4739;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6913;
1000 სომხური დრამი - 5.9938.

ამინდი 18 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	1,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge